


მ რ ი

№ 20

კვირა 20 თებთვე

№ 20

შ ი ნ ა ა რ ს ი:



სიმცირის გაულენა—**ფ. გოგიჩაიშვილისა**; სხვა იმედისა—**ს. ფაშალიშვილისა**; ქართულ დრამატ. საზოგ. 30 წლ. ასსეობა—**მწიგნობარისა**; სომხინჯვდრამა—**ნ. შიუკაშვილისა**, შეთქმულება—**ა. შანშიაშვილისა**; ნუცალ ხანი—**ივ. ბუქურაულისა**; ინგილოთა ეოფა-ცხოვრება, დასასრული—**ზ. ედილისა**.

1910 წ.

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის-მომწერთ, ხელის მოწერის ფულის შემოტანა დაჩქარონ.

ს ი მ ც ი რ ი ს გა უ ლ ე ნ ა.

ამ ბოლო დროს ქართულ პუბლიცისტიკაში ერთგვარი „პესიმისტური მიმართულება“ არის გაძლიერებული. ჩვენ ბევრს ვქექავთ და ვიძიებთ ჩვენს ხალხოსნურ თუ საზოგადოებრივ ნაკლსა და სისუსტეს. იმ წრეებშია კი, რომელნიც არსებითად ოპტიმიზმის მოციქულნი და მქადაგებელნი იყვნენ, დღეს კილო დაწეულია და წინანდებულად ვეღარ ახერხებენ ჩვენი ძალონისა და შემოქმედებითი ბარაქიანობის გაზვიადებას. უდიდესი ნაწილი ქართულ პუბლიცისტიკისა დღეს მწარე გოდებასა და ქართველობის საერთო ნაკლთა დაუფარავ ღაღადის შეიცავს. თუ წინად ცხოვრებას ზერეულად ვუცქეროდით და უფრო ოცნებით ვიკვებებოდით, დღეს სამაგიეროდ ფეხს იკიდებს ჩვენში თავის თავის სასტიკი კრიტიკა, რომელიც ბევრის მხრით სანუგეშო და იმედის აღმძვრელია. ცნობა თავის თავისა, რაც დიდებულმა ფილოსოფოსმა მცნებად დაუდვა კაცობრიობას, დიდი რამ არის ცხოვრებაში. ნაკლისა და ხინჯის გასწორება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, როცა იგი ცნობილია და დაბრკოლებად აღიარებული. ამიტომაც ჩვენ სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია ის საყვირისებური ხმა თვით-კრიტიკისა, რომელიც ხშირად გაისმის ჩვენს მწერლობაში. ჩვენ ნაკლუნევენებათა საჯაროდ გამოფენას, დაფარულ სულიერ იარების გახსნას და ზნეობრივ დაუადების ანალიზს მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის. ეს ისეთი მწარე, მაგრამ საღი წამალია, რომელიც არასდროს არ აწყენს ხალხის ორგანიზმს.

ბული და მარტოოდენ გოდებას არ წარმოადგენს. გოდება გულის გამტეხი და ენერჯის დამჩლუნგებელია, ანალიზი კი ყოველთვის გზის მაჩვენებელი და იმედის მომცემია. ის, რაც ახსნილი და გარკვეულია, უძლევვლად აღარ ეჩვენება ადამიანს. ერთი და იგივე არ არის ჩასძახოთ ვინმეს, — „არ ვარგინხარო“ და „ამიტომ და ამის გამო არ ვარგინხარო“. პირველ შემთხვევაში იგი ღუნდება და ბოლოს და ბოლოს თავის სიმდარეს კიდევ შეურიგდება, მეორე შემთხვევაში კი მას იმპულსი ეძლევა და მოქმედებისათვის სულიერი ძალა ემატება. უანალიზო კრიტიკას ანუგოდებისებურ „თავის მხილებას“ კატეგორიული ხასიათი აქვს და ზომიერება აკლია. ამიტომაც იგი, ვითარცა გადაჭარბებული და „გულის გამხეთქი“, ხშირად მიზანს ვერ აღწევს, — პირიქით, საზოგადოებრივ ენერჯიას ასუსტებს და შემოქმედების ძალას აღუნებს.

ჩვენი აზრით, ასეთი „კრიტიკა“ მოსარიდებელია და ყოველ შემთხვევაში ფრთხილად სახმარი იარაღია ხალხის გამოსაღვიძებლად. საჭიროა ეს ახსოვდეს ყველას, ვინც ჩვენში საზოგადო ასპარეზზე ასე თუ ისე მოქმედებს და ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლების საქმეს ემსახურება. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, პატარა სარბიელი გვაქვს და ამიტომაც ყოველი მოვლენა ჩვენში უფრო შესამჩნევია, მეტად სჩანს, ვიდრე არის ნამდვილად, და ამის გამო, როცა იგი მახინჯი და საზოგადოებრივობის წინააღმდეგია, ხშირად გადაჭარბებულ გოდებას იწვევს შედეგად.

მეორე მხრით, ხალხის სიპატარავეს, რაოდენობით სიმცირეს პირდაპირი გავლენა აქვს ზოგიერთ ისეთ ჩვეულებისა და მიდრეკილების განმტკიცებაზე, რომელიც საზოგადოებისთვის მავნებელი და დამაბრკოლებელია. თუ ხალხის სიმცირე, ვითარცა ამა თუ იმ დასაგმობ მიდრეკილების მასაზო-

მაგრამ კრიტიკა მაშინ არის ნაყოფიერი, როცა იგი ფაქტებისა და მოვლენათა ანალიზზეა აგე-

დოგებელი ფაქტორი, არ მივიღეთ მხედველობაში და კერძო ფაქტები იმის მიხედვით არ ავწონ-დავწონეთ, ადვილად შეიძლება არა ერთი და ორი ზნეობრივი ხინჯი ქართველის „ბუნების თვისებად“ მივიჩნიოთ და მართლა უამედლობას მივეცეთ. სინამდვილის ანალიზი კი იმას გვასწავლის, რომ პატარა ხალხში თვით სიმცირე ხალხისა ხელს უწყობს ზოგიერთ არასასურველ «თვისების» გაძლიერებას და ამიტომაც ესა თუ ის საზოგადოებრივი ნაკლი, გინდ ზნეობრივი მანკი რაოდენობითი სიმცირის თანამყოლი არის, რომელსაც მხოლოდ თანდათანობითი კულტურა შეასუსტებს და არა ცარიელი გოდება და თავში ცემა.

მართლაც ჩვენ, ქართველები, ისე პატარა ხალხი ვართ, რომ ყველანი—ასე ვთქვათ—ერთმანეთს ვიცნობთ პირადად. ისე ახლოსა და ისე ხშირად ვხედავთ ერთმანეთს, რომ დაწვრილებით ვიცით ერთმანეთის ავი და კარგი, ცხოვრება ოჯახური და ოჯახს გარეთაც. როგორც ერთ ოჯახში იმავე ოჯახის წევრებისათვის არა არის რა დამალული, ისევე ჩვენში არაფერი რჩება დაფარული და გაუგებელი.


ამიტომაც ჩვენ, ქართველები, საშინელი მეჭორეები და ერთმანეთის კერძო ცხოვრების დაუბრუნებელი მქექავები ვართ. რახან ყველანი, ერთ ოჯახსავე, ცხოვრების ერთ ვიწრო ფარგალში ვართ მომწყვდეთ, წვრილმან მასალას აუარებელს ვპოულობთ ერთმანეთის გასაქექად და გასაქირდავად.

ჩვენში, ვითარც პატარა ხალხში, თითოეული პიროვნება გრძნობით ისე გამოცალკევებული არაა ჯგუფისგან, ისე გამოთიშული არაა თავის თანამოძმეთაგან, როგორადაც რომელსამე დიდ ეროვნებაში. თითოეული ქართველი მუდამ თავის მეზობელსა და ნაცნობებს ადარებს თავის თავს, თავის ყოფა-ცხოვრებას მათს ყოფა-ცხოვრებას უპირდაპირებს და ამ შედარების საშუალებით განსაზღვრავს თავის სოციალურ მდგომარეობას, იგი წყნარად და გულმშვიდად არის, თუ ირგვლივ სხვებიც მასავით ჩათლახად ცხოვრობენ. სამაგიეროდ ვერ მოისვენებს, თუ მისმა მეზობელმა (ჩვენ ხომ ყველანი ერთმანეთის მეზობლები ვართ!) აიწია და მას გაუსწრო. იგი ცდილობს მას დაეწიოს და გაუთანასწორდეს, გარეგნობით მაინც. ქართველი არსებითად ფრიად **წამბაძველია**. მხოლოდ იგი ჰბაძავს არა განყენებულ მოდას ან უაფტორო აზრს, არამედ «დაწინაურებულ» მეზობლის გარეგან ცხოვრებას, მის ჩაცმულობას და აზროვნებას. მისი მიბაძვის საგანი კონკრეტულია და არა განყენებული. როგორადაც ერთს ოჯახში ერთს მძას ესარცხება, თუ მას მისმა ძმამ გაუსწრო, ისევე ყოველ ქართველს სასირცხვოდ მიაჩნია, თუ ცხოვრებაში მეზობელმა გაუსწრო და იგი უკან მიატოვა. ამიტომაც იგი ნახევარჯერ საქმელს მოიკლებს და დიდკაცურად გამოეწყობა. ამით იგი აზნაურს

უთანასწორდება. მისმა მეზობელმა სწავლა მიიღო და—ვთქვათ—გაზეთებში წერა დაიწყო? „აბა მოისვენებს, სანამ ერთ პატარა კორესპონდენტს და „მოაქუჩებს“ და გაზეთში არ დააბეჭდვინებს. ვინმე მისი კუთხის კაცი რედაქტორი შეიქმნა? თითონ მეპურეობაზე ხელს აიღებს, თონეს დააგირავებს და ორი დღე დღით მაინც რედაქტორობას გამოსცდის (დღეს ეს საქმე ძნელი აღარ არის.) საზოგადო მოღვაწეობა სასახლოდ არის მიჩნეული? მისი მეზობლის სახელსა და გვარს გაზეთებში ბეჭდავენ? იგი უუქველად წავა ამა თუ იმ საზოგადოების კრებაზე და „რეჩს“ იტყვის. უანგარიშოდ ფულის ხარჯვა სიმდიდრის ნიშანია? იგი უკანასკნელს ხუთ შაურს ეტლში მისცემს, ერთს ძალიან გააჭენებს, ხოლო შინ რომ წავა—მშიერი დაიძინებს. ერთის სიტყვით, ქართველი ბევრს ფართი-ფურთოებს, მაგრამ არა თავის შინაგან მოთხოვნილებით, არამედ უფრო წაბაძვა—წახედულობით, რომელსაც ჩვენი—ქართველობის—რაოდენობითი სიმცირე ნიადაგს აძლევს და შესამჩნევად ხელს უწყობს.

მაგრამ, რასაკვირველია, წაბაძულობითაც ადამიანი ყოველთვის მიზანს ვერ მიაღწევს. „დაწეული“ დაწეულს ხშირად ვერ დაეწევა, თუნდაც ძალიან წაჰბაძოს და მოინდომოს მასთან გათანასწორება. ამ შემთხვევაში ბედისაგან დაჩაგრულს **შურიანობის გრძნობა** უწყევს დახმარებას. აბა როგორ არ შეშურდეს ქართველს თავის მეზობლის დოვლათი და გაკეთება, როცა მას კარგად ახსოვს, რომ ისიც მასავით ღარიბი და გაჭირვებული იყო. „მაშინ მეგობრობდა, ეხლაკი ცხვირს ზევით იწევს. რითია მასზედ უკეთესი? არც დედით, არც მამით, არც გვარიშვილობით, არც ჭკუით» (ქართველებს ყველას ჭკვიანებად მიგვაჩნია ჩვენი თავი.) და აბა როგორ არ აღევსოს გული შურით? დიად, შურიანობა ჩვენი სამარცხვინო თანამყოლი გახლავთ. იმერელი ცეცხლს წაუკიდებს და გადასწავს თავის მეზობელს. გგონიათ, მტრობით? არა, მარტო იმიტომ, რომ მეზობელმა აიწია, ცოტათი ქონი მოიღო და ეს კი მეორესთვის, რომელიც ღარიბად დარჩა, შესაშური საქმე შეიქნა.

ვინმე იტყვის: მერე აქ ხალხის რაოდენობის სიმცირის გავლენა რა სიტყვაზე მოსატანიაო. ჩვენ კი გვგონია, რომ არის „მოსატანი.“ საქმე ის გახლავთ, რომ უცხოს მიმართ ქართველმა სრულებით არ იცის შურიანობა. ჩასახლეთ ქართულ სოფელში რუსი ან სომეხი,—ქართველები კონტს არ დასძრავენ, გულშიც კი არ გაივლებენ უკმაყოფილებას. ამავე დროს საკმარისია მეორე ან მესამე სოფლის ქართველმავე მათს სოფელში მამული შეიძინოს და დასახლდეს, რომ ყველანი მოსისხლე მტრებად გადაექნენ. რათა? იმიტომ, რომ რუსი და სომეხი უცნობნი არიან. ამათთან ქართველს არ აკავშირებს რა, მათ იგი არ ედარება, მათი დაწინაურებით თავის თავს არ სთვლის შერცხვნილად




და შეურაცხყოფილად. სულ სხვაა თავისიანი.—მისიანი იგი „ვერ უნდა დასჯაბნოს.“ დამახასიათებელ მაგალითს გეტყვით. ამას წინად, გურიის ორი სოფლის წარმომადგენელი სამედიცინო სასამართლოს სადავო საქმეს არჩევიანდნენ. საქმე მამულის ყიდვას შეეხებოდა. ერთი სოფელი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს მოელაპარაკა მამულის საყიდლად და ფასზედაც მოურჩდა. ეს გაიგო მეორე სოფელმა, რომელიც გასაყიდ მამულის ახლოს მდებარეობს, მაგრამ მის ყიდვაზე ყოველთვის უარს ამბობდა, და იმ მამულის ყიდვის სურვილი ამასაც სწორედ ახლა აღეძრა. პირველი სოფლის გლეხები ცოტა შორეულნი იყვნენ, უნდა მოსულიყვნენ და იმ ბანკის მამულში დაასახლებულიყვნენ, დააბა ამას რო. გორ მოითმენდნენ მეორე სოფლის მკვიდრნი! დაეჯიბრა ერთა მეორეს ორი სოფელი. ამ ცილაობაში პირვანდელი ფასი ბანკს შესამჩნევად აუწიეს და კინალამ ერთნეთი არ დახოცეს. საქმე სამედიცინოდ გადაიქცა. საქმის გარჩევის დროს ერთმა მოსამართლემ შენიშნა სოფლელების წარმომადგენლებს, შეთანხმდით, თორემ მამული არც ერთს არ გხვდებათ, — ბანკი რუსებს მისცემს და შინ რუსები ჩამოგისახლდებიანო. ამაზე, იცით, რა მიუგეს სოფლელებმა? ყური დაუგდეთ: „ზღვამ წამლეკოს, არ მეწყინება, —სთქვა მეორე—“მკვიდრ“—სოფლის წარმომადგენელმა, —მაგრამ ამ ჩვენებურ ნამს თავი როგორ წავალეკინოვო“. ასე გახლავთ: რუსი „ზღვა“ არის და მან რომ წალეკოს, გურული არას ამბობს, «არც ეწყინება», მაგრამ „ნამს“ ე. ი. მესამე სოფლიდან მოსულ თანამოძმეს კი ნებას არ მისცემს მის გვერდით სული მოითქვას და თავისი ცხოვრება მოაწყოს. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ცოტანი ვართ, რომ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ და არაფრად ვაგდებთ.—ერთმანეთი ნამად მიგვაჩნია. ნამი ნამის სწორი უნდა იყოს დი არა მეტი. თუ სადმე შემთხვევით ნამი ნელ-ნელა გაიზარდა და პატარა ტბად ქცევა დაიწყო, მისი ძმა მაშინვე ძირს გამოუთხრის და ხევში გადაუშვებს. „გული ვერ მოუთმენს“, „თავმოყვარეობა ნებას არ მისცემს“...

გაზვიადებულ თავმოყვარეობის აღმოცენებას სწორედ პატარა ხალხში აქვს განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი. აქ პიროვნება ისე დაჩრდილული არაა, როგორც დიდ ეროვნებაში. კერძო ადამიანი, მრავალში შერეული, თავისთავს მხოლოდ ნაწილად გრძნობს მთელი ხალხისურ ორგანიზმისა. პატარა ხალხში კი ეს ასე არ არის. იქ იგი ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბევრ მის პირად ნაცნობს უექველად აღემატება ღირსებით, ვინაიდან, ხალხის თქმისა არ იყოს, „უარესის უარესი არასოდეს არ დაიღვეა.“ ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩვენში ამდენი „განდიდების სენით“ ავადმყოფი ადამიანი მოიპოვება. ყველას, ვისაც ოდესმე „საზოგადო საქმის“ გულისთვის ორიოდე მუქთი სიტყვა დაუხარ-

ჯავს, სამშობლოს მხსნელად მოაქვს თავი და ხშირად გულწრფელად სჯერა, რომ ხალხის განდიდებისათვის მის პიროვნებასთან არის განუყოფელი ურთიერება. ყოველგვარი საზოგადოებრივი მსჯელობა უპირველეს ყოვლისა პიროვნების თავმოყვარეობის, მისი „მე-ს“ საკითხთან არის შეკავშირებული. ვთქვათ, ჩვენში ვინმე რაიმე საზოგადო საქმეს აკეთებს: უნდა იცოდეთ, რომ ყოველგვარ სხვა საქმისთვის იგი ნამდვილ ინკვიზიტორად გადაიქცევა. ყველა ვალდებულია მხოლოდ ის საქმე სცნას საჭიროდ და სასარგებლოდ, რომელსაც იგი ემსახურება. თავის თანამოქალაქეთა ნიჭსა და გულწრფელობას იგი აფასებს არა მართლა ნიჭისა და გულწრფელობის საფუძვლით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ რას და როგორ ჰფიქრობს მის მიერ ამოჩემებულ საქმეზე. ეს ყოვლად ანტისაზოგადოებრივი ზნე პირდაპირი შედეგი არის ხალხისურ სიმციროსა. ეს განდიდების სენი ხშირად აყალბებს ადამიანის მსჯელობასა და შეხედულებას. ამას მკითხველი შემდეგი უბრალო მაგალითით გაიგებს. ეჭვი აღარ არის, რომ დღეს ქართველებისათვის სახელმწიფო სამსახურის კარები თითქმის სრულებით დახშულია. ეს ფაქტი, დაკვირვებაც რომ არ გვქონდეს, „კავკასიის კალენდრის“ აღწერების დათვლითაც ადვილად დამტკიცდება. ვთქვათ, თქვენ აღნიშნეთ ეს ფაქტი საუბარში ისეთ ქართველ მოღვაწესთან, რომელიც თვითონ სახელმწიფო სამსახურშია. როგორ გგონიათ, —დაგეთანხმებათ? სცდებით! აბა როგორ დაგეთანხმობთ, როცა თვითონ აქვს ასეთი სამსახური. „ადგილებს იძლევიან, როგორ არ იძლევიან, —აი, „მას“ მისცეს ხომ ადგილი? მთავრობა ყოველთვის აძლევს სამსახურს ნიჭიერს და მცოდნე კაცებს“, ასე გეტყვით იგი. არ იფიქროთ, ვითომ ამის მთქმელი უექველად მთავრობის მალმერთებელი იყოს. არა, შეიძლება იგი დიდი რადიკალიც იყოს, და თუ ამას ამბობს, მხოლოდ იმის მეოხებით, რომ თავისი თავი ყოველთვის მსჯელობის შუაგულში აქვს წარმოდგენილი. ვინ იცის, ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე რამდენი ადამიანი მტრობს და ეწინააღმდეგება ერთი მეორეს არა იმიტომ, რომ ვითომ პრინციპებით ერთმანეთისგან განშორებულნი არიან, არამედ მარტოოდენ იმის გამო, რომ ერთი მეორის ავტორიტეტს არ სცნობენ და ერთმანეთს თავმოყვარეობას არ უკმაყოფილებენ.

მიუხედავად თავმოყვარეობის ამგვარ გაზვიადებისა, პატარა ხალხში ნამდვილი ავტორიტეტი ფრიად ძნელი მოსახვეჭია. ხალხის რაოდენობის სიმცირე თუ კერძო თავმოყვარეობის გასაზვიადებლად შესაფერს ნიადაგს იძლევა, სამაგიეროდ ავტორიტეტის შექმნას ძალიან აბრკოლებს. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ავტორიტეტებს, რომელიც კერძო ადამიანის პირად ღირსების განსაკუთრებულ უპირატესობაზეა დაფუძნებული და ეს უპირატესობა და მის



წინაშე თავის მოხრა მრავალთაგან ნებაყოფლობით არის მიღებული. ასეთ ავტორიტეტის მოპოება პატარა ხალხში განსაკუთრებით დამჯდარი და მტკიცე ხასიათის პატრონ იშვიათ ადამიანებს შეუძლიანთ. პატარა ხალხი შინაობაში არსებითად ავტორიტეტის წინააღმდეგია. რახან ყველა თანამემამულენი ერთმანეთის ახლო-ბელნი არიან და ყოველი წვრილმანი ერთმანეთის ცხოვრებისა იციან, ამიტომაც აღარავის რჩება ის შარავანდედით მოცული უცნობლობა, რომელიც ავტორიტეტისთვის აუცილებელია. ადამიანები თუ გავატიტვლეთ, ყველანი დაახლოვებით ერთმანეთის მსგავსნი გამოჩნდებიან. და პატარა ხალხში ყველანი სულიერად გატიტვლებულნი არიან ერთმანეთის წინაშე და ეს არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიზეზი, რომ იქ ავტორიტეტს იშვიათად სცნობენ. ყველა ჩვენი დაწესებულება ამ აზრის ცხადი დამტკიცებაა. საცა უნდა მიხვიდეთ, ყველგან ანარქიას და არეულობას იპოვით და არსად რაიმე ავტორიტეტის ცნობას და წესრიგისადმი დამორჩილებას. ამიტომაც, რომ ქართულ დაწესებულებაში ქართველი ყოველად უვარგისი მომუშავე და გლახა მოსამსახურეა. იგივე ქართველი რუსულ დაწესებულებაში ჩინებული ჩინოვნიკია. ქართველს იგი არასდროს არ დაემორჩილება, უცხოს წინაშე კი ოთხდაც მოიხრება. სხვათა შორის ესეც არის იმის მიზეზი, რომ ქართველობაში საზოგადოებრივი აზრის ჭაჭანება არაა. ჩვენში იმდენივე აზრია, რამდენი ქართველიც მოიპოვება. ყველა ამ აზრთაგან ერთის ან რამდენისამე გონებრივ ნაკადულის შექმნა და საზოგადოებრივ აზრად გარდაქმნა უავტორიტეტოდ შეუძლებელია.

დასასრულ, ავტორიტეტზე არა ნაკლებ ძნელი საქმეა ადამიანისთვის პატარა ხალხში სულიერ დამოუკიდებლობის ანუ პირად ავტონომიის შენარჩუნება. აქ ყველანი ერთმანეთის საქმეში ხელებს აფათურებენ და ხშირად სხვის ძვირფასსა და უუწმინდეს საგანს თავისთვის უბრალო მასლაათისა და ღროს გატარების საგნად იხდიან. პატარა ეროვნებაში ამ მხრით სასტიკი წინააღმდეგობაა კერძო ადამიანსა და „საზოგადოებას“ შორის. უკანსკენელი არც ერთ კუნჭულს არ უტოვებს კერძო ადამიანს, რომ იქ თავისუფლად ამოისუნთქოს და სულის მყუდროება ჰპოვოს. მგრძობიარე ადამიანისთვის ეს განწყობილება დრამატიზმით აღსავსე მომენტი არის. ამ მომენტის სიმწვავის განვლებას და სულიერი სიმშვიდის მოპოებას იგი მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ თავისსა და „საზოგადოებას“ შუა ერთგვარ ღობეს გაავლებს და თავის სულიერ საკუთრებას ფხიზელ დარაჯად დაუდგება. ეს საქმე არც ისე ადვილი არის, ეს მთელი ფსიხოლოგიური ხელოვნებაა, რომლის შესწავლა და შეთვისება ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა...

როგორც ხელდავთ სიმცირეს ხალხის ბევრის მხრით

თავისებური საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მხარე აღვნიშნეთ. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს პატარა ხალხს განსაკუთრებით ესაჭიროება პიროვნების კულტურა, რომელიც ადამიანის სულიერად გამფაქიზებელი და ამბალღებელია.

ფ. გოგიჩაიშვილი



ხ მ ა ი მ ე დ ი ს ა .

ავ ჟამთა სრბოლამ დაჩრდილა
ჩემი ოცნების წალკოტი,
შიგ დასჭკნენ ნაზნი ყვაილნი,
ქარმა მოსტეხა ვარდს ტოტი...

ზარით ჰქვითინებს ბუღბული,
და იგლოვს წარსულ შვენებას,—
სამგლოვიარო ხმა მისი
ზეიმსა ურღვევს ბუნებას!

მშვიდი ნიაფი მიყუჩდა,
ავ გრივალს გააქვს ღმუილი
და ირგვივ გამეფებულა
სამარის დარი ღმუილი...

—მე კი იმედის ჩანგს ვაჟღერ,
ღიაცის ცრემლით არ ვსტირი,
ქარიშხალთ გმინვას გარდავეც
გულისა სეცდა და ქირი!..

კვლავ ვეტრფი აღმოსავლეთსა,
თუმც იგი ღრუბელს მოუცავს—
და მუნ მნათობი ვარსკვლავი
წყვდიადის ჯჯრღმულს შთაუნთქავს.

... ჩუ, მყუდროება გააპო
გმირის სიმღერამ ციურმა,
შავი სუდარა გადიძრო,
წყვდიადმა ამ ქვეყნიურმა!..

აჰა იმსხვრევა უწყალოდ
უტყვი მონობის ბორკილი,
აღმოსავლეთი ფერს იცვლის,
ზე ილტვის სული ტყვე ქმნილი...

კვალად შუქდება სამყარო,
მესმის ალერსი დედისა,
ცხოვრების ბნელ გზას მინათებს,
შუქ მფრქვევი ხმა იმედისა!...

ს. ფაშალიშვილი.



«ქართულ დრამატული სამოგადოების»

ოცდა ათი წლის არსებობა.

წელს 22 ივნისს შესრულდება სწორედ 30 წელიწადი, რაც ოფიციალურად დამტკიცებულ იქმნა „ქართული დრამატული საზოგადოების“ წესდება. (1880 წელს 22 ივნისს.)

მოქმედების და თეატრის საქმეთა წარმოებას გამგეობა შეუდგა იმავე წლის 15 სექტემბრიდან.

დრამატული საზოგადოების გამგეობის მოქმედების ერთი წლით ადრე წინ მიუძღოდა ეგრედ წოდებული „ქართულ წარმოდგენების მმართველი გამგეობა“, რომელიც შესდგებოდა შემდეგ პირთაგან: ილია ჭავჭავაძე, ივანე მახაბული, დავით ერისთავი, დავით სარაჯიშვილი, ნიკოლოზ ავალიშვილი, გიორგი თუმანიშვილი და იოსებ ბაქრაძე.

ეს ორგანიზაცია იყო პირველი გამგეობა ქართულ თეატრისა და იმავე გამგეობამ მოამზადა და შეადგინა დრამატული საზოგადოების წესდება.

ზემოთ ხსენებულ პირთაგან უკვე ნებადართულ საზოგადოების გამგეობაში შევიდნენ: თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე, მის ამხანაგად აკაკი წერეთელი, მდივნად კონსტანტინე უიფიანი, ხაზინადრად გიორგი თუმანიშვილი, ხელმწიფრებად-რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ ქანანიშვილი და მიხეილ უიფიანი.

ქართულ წარმოდგენების მმართველ გამგეობამ, როგორც ზემოთ ვთქვით, მოქმედება დაიწყო ერთი წლით ადრე, ესე იგი პირველ სექტემბრიდან 1879 წ. და განაგრძო საქმის წარმოება 1880 წ. ივნისის თხუთმეტამდე, ხელმწიფრებად-რაფიელ ერისთავის წესდება დამტკიცებულ იქმნა იმავე წლის ივნისის 22-სა, ესე იგი ერთი კვირის შემდეგ.

აქედან აშკარაა, რომ დრამატული საზოგადოება მოქმედებდა, ასე რომ ვსთქვათ, არა ლეგალურად 1879 წლის პირველ სექტემბრიდან ხელმწიფრებად-რაფიელ ერისთავის დამტკიცებულ იქმნა 1880 წელს. ამრიგად დრამატული საზოგადოების არსებობის ხანა ფაქტურად უდრის ოცდა თერთმეტს წელს.

საინტერესოა პირველ (1879—1880 წ.) საზოგადოება დასის წევრთა ჩამოთვლა: მისხაობნი ქალები: მარამ სოფაროვი, მარამ უიფიანი, ნატალია გაბუნია, ბარბარე კორნთელიძე ეკატარინე იოსელიანი, მისხაობნი ვაჟნი: ვასილ აბაშიძე, კონსტ. მუსხი, ნიკოლ. შიშინაშვილი, კონსტ. უიფიანი, ზაალ მახაბული, ნიკოლ. ავალიშვილი, ვასილ მანსვეტოვი, ადამ ჩუბინაშვილი, იოსებ ბაქრაძე, გრიგ. უიფიძე (სუფლიორი) ავქსენტი ცაგარელი სტენარეუსად და გიორგი თუმანიშვილი რეჟისორი.

დასმა 1879 წ. სექტემბრიდან ივნისის თხუთმეტამდე 1880 წ. გამართა 31 წარმოდგენა და ამის გარდა ქალაქ გორში ოთხი წარმოდგენა. ტფილისში შემოსულა 11022 მ. 57 კ., გორში—755 მ. 70 კ.; ახუ ორთა შუა რიცხვად ტფილისში 355 მ., გორში კი 185 მ. ასეთ ორ-

თაშუა შემოსავალი მეტად იშვიათი ხილი გახდა ქართული საზოგადოება დასის არსებობის 31 წლის შემდეგ. წარმოდგენები იმართებოდა ვოლფოვი ქუჩის საზოგადოებრივ თეატრში, რომლის ანტრეპრიზს სერგეი ზალმს ეჭირა.

ამ ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში სეზონის საქმეს წარმოებდა უფრო მეტად დრამატ. საზოგ. გამგეობა. გამგეობას უწარმოებია 19 სეზონი და გაუმართავს 674 წარმოდგენა, დანარჩენი უწარმოებიათ ან კერძო ამხანაგობათ (4 სეზონი 113 წარმ.) ან მისხაობთა ამხანაგობას (3 სეზონი 92 წარმ.) ან კიდევ კერძო პირებს აბაშიძეს და კორტე მუსხს ერთი სეზონში, ა. ნებიერიძეს ერთი სეზონი, ვასო აბაშიძეს ორი სეზონი, მარ. სოფაროვისს ერთი სეზონი და სხვა.

ჩვეულებრივ სეზონის გარდა წარმოდგენები იმართებოდა დიდმარხვობით და გაზაფხულზედაც ნაადრევად.

ასეა თუ ისე, 30 წლის არსებობა ისეთი კულტურული დაწესებულების, როგორც არის „ქართ. დრამ. საზოგადოება“, ფრიად შესამჩნევი მოვლენაა ჩვენს უფრო და დაკნინებულ ცხოვრებაში.

უგელამ კარგად უწყის, თუ რა დიდი ამაგი მიუძღვის ქართველობის წინაშე „ქართ. დრამ. საზოგ.“, რომელმაც ავად თუ კარგად წარუშლელი კვალი დაახნია ქართველების განვითარების და თვითცნობიერების ისტორიაში და ნამეტნავად ეროვნულ შემეცნების აღორძინებაში და კულტურულ ზრდისა და დაწინაურების საქმეში.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრს ჩვენში არა სჯერა თეატრის მაღალი მნიშვნელობა ან თუ სჯერა, ცალმხრივის მისხარებით აუკუღმართებს ქართულ თეატრის გადგენას საზოგადოებაზე, მაგრამ, ღვთისით, მაკ ვაჟბატონების ენა წყლისანობას ჩვენი ერის უმრავლესობა არად აცდებს.

დროა ვიწამოთ, რომ თეატრი უფრო ჟამს და უფროს ერებში ერთ უძლიერეს კულტურულ სადსრად იყო მიჩნეული ხალხის ზნე-ჩვეულებისა და გრძნობა-გონების განსაზღვრებისა და აღმადგენის ევოლუციაში.

თეატრისა და სტენის უმთავრეს ელემენტად ჩვენ ის კი არ მიგვაჩნია, თუ როგორ წარმოგვიდგენს იგი არსებულსა და ნამდვილს ცხოვრებას, არამედ ის, თუ როგორი უნდა იყოს იგი ცხოვრება სტენის წარმოდგენით...

სტენს ჰქმნის ცხოვრების იდეალს, იგი ცდილობს გადაქმნას არსებული და უფროსი ცხოვრება მძლავრ და მსხიერ სიმბოლოდ: აწინდელმა სტენამ თეატრალური შექცევა კარდაქმნა ერთგვარ ღვთის მისხურებად, რომლის მთავარი ანგი უწმინდესი მისწრაფებაა გრძნობიერების შემოქმედთან და უმადლესი დადადისი გონიერების დამკრთვან.

როგორც უფროს სუფთა მსხლსა და ოჯახში არსებობს თავისი «წმინდათა წმინდა» თავისი შეუბღაღავი კუთხე-კუნტული, ისევე უფროს მართებულს თეატრში არსებობს თავისი «ზედა» და ამ ზეცის შემეურე ხელგონური საქმიანობა და მავადრებელი იდეალი.

იყო თუ არა ქართულ სტენაზე ასეთი «ზედა» და მისი შესაფერი მისხურება და იდეალური კარჯა ამტანლობა?

ცოტად თუ ბევრად იყო.

შეასრულა თუ არა ჩვენმა თეატრმა და სცენამ ის მთლიანი, რომელიც ქართველობას ნაღვლად ქცენდა გულში ადბეჭდილი?

ცოტად თუ ბევრად შეასრულა.

ნუ ვიქნებით მეტად თავაზიანნი, მეტად გულჩვილნი და ხელს ნუ დავაფარებთ ჩვენს ნაკლს და შეცდომებს, მაგრამ ნურც გადაჭარბებით სსსტიკი და უღმბეღნი ვიქნებით.

უნდა გავითვალისწინოთ უოველივე რეალური ზირობები რომელიც ხელს გვიწუბობენ და ხელსაც გვიცრიდნენ. ტყუილად კი არ უთქვამთ „დრონი მეფობენო!“ მიუხედავად დრო და ჟამს, მათ მიერ შექმნილ ზირობებს და დაბრკალებათ და ისე განვსჯოთ.

დახსაც სრული ჭეშმარიტება. როცა თეატრს ხელფანების ტაძარს უწოდებენ. თეატრი ოდნოდაც ტაძარი, სდაც ღვთის მსახურება ხელფანების სამსხვეპლს გარშემო გამოდამებული და განაღებული უნდა იყოს, მაგრამ ნუ დავიფიქვებთ ერთს გარემოებასაც როგორც უოველს ტაძარს ისე თეატრსაც კარები და შემოსასვლელი ქუჩიდან აქვს...

და თეატრიც, ვითარცა უოველი ტაძარი, მთლიან მამინ იქნება ნამდვილად ტაძრად, როდესაც შიგ შეფეთა გარდა ახალიც შემოსულნიც გაიმსჭვალეობიან ღოცვით და სსსკებით.

განა უოველი ტაძარი ტაძარია?

ტაძარი უოველთვის მთლიანებით უნდა იყოს გაცხადილი. რაც გინდ სსსკებით გულმხურვალეთ ღოცულადნენ სცენის ქურუმნი და მსახურნი, თუ კი დამსწრენი მამზადებულნი და მწადინებულნი არ იქნებიან სდაცვადა, — თეატრი უფრო შესაქცევ ადგილს დამისგავსება, ვიდრე ხელფანების ტაძარს.

ისინი, ვინც ჩვენს თეატრისაგან ბევრსა და ხშირად შეუძლებელს თხოულადნენ ამ გარემოებას კარგად დაუფიქრდნენ...

ხშირად რაიც კარგი და წარმტაცი იდელების ფერადებში, იგი უოვლად შეუფერებელია ხალხის სინამდვილესთან. რაც ოცნების ღაჟვარდში შესაძლო და ადვილია იგი, სამწუხაროდ, ხელმოუწადელია სინამდვილეში.

ზნაქტიკულ ცხოვრების ჭეშმარიტება ძლიერ შიკრს არის ხელმე ოცნებასა და სიზმრებისაგან.

საჭიროა ამ გარემოებასაც დაუგვირდნენ ბევრნი...

ჩვენ სრულებით არ ვამართლებთ იმ მრავალ ნაკლთ და შეცდომებს, რომელიც ნებისთ თუ უნებლიეთ მოსვლიათ ხელმე დრამატული საზოგადოებისაში თუ იმ კრებულს, ამა თუ იმ წელთა მეთაურებს ქართულ თეატრისას.

ჩვენ არც იმ გამოკობათა ქება-ხატებასაც ვკისრულდობთ, რომელთაც მართლა შინა და უნარი გამოუჩენიათ ქართულ სცენის მართვა-გამგებლობაში. ეს ქართული თეატრისა და სცენის მემკვიდრეობა და ისტორიის დამწერ მკვლევართ და დეი მათ აღნუსხან წარსულ და უოველ გამოკობათა კარგიც და ავიც აწ განვლილ ოცდაათის წლის განმავლობაში.

ჩვენ გვსურს მიუეთიადთ ქართულ თეატრის ბედობლის გამოკებლთ, თუ რა საჭირობორბორბობა გამოგვხდეს და სავსებს უნდა მიაქციონ მთავარი ურთიდაცა ქართულ თეატრსა და სცენის საქმეთა მოსწესრიგებლად მერმისში.

ქართულს თეატრს და სცენას, სამწუხარო კია ამის გამომუდგენება, დღემდე აკლდა თავისი ზიროვნება, თავისი სხე.

უსათუოდ საჭიროა ამ სხისა და ზიროვნების ზოვნა და გამოაშკარავება. ჩვენმა სცენამ უსათუოდ უნდა იცოდეს, თუ რა სწადიან მას, რა აკეთოს და რა სთქვას.

თეატრი უოველთვის უნდა გრძობდეს, თუ რა სწადიან და სწუერთან მას. ეგ ზიროვნული შეგნება, ეგ წინად განზრახვა თავის საქმისა ხშირად აკლდა ჩვენს თეატრს.

ქართულმა თეატრმა უნდა შექმნას თავისი მათურებელი, თავისი მუდმივი აუდიტორია. დღემდე მას არ ჟავს, «თავისი» მათურებელი. მისი აუდიტორია მეტად ჭრელი და ცვალებადია.

ეგ შემთხვევითი ხასიათი დამსწრეთა და მათურებელთა ვერ შექმნის თეატრის სიმკვიდრეს.

ქართული თეატრი აუცილებლად უნდა გადმოკრატდეს. საუოველთაო ხასიათი მიიღოს. ამისთვის საჭიროა უმთავრესად ადგილების ფასების შემცირება, უოველსთვის ხელმისაწვდომი ფასებში გამართვა ქართულ წარმოდგენებისა. მამინ ნებაუნებლიეთ წარმოდგენებიც გაიმართება.

ქართულმა სცენამ თავისი საკუთარი მუდმივი თავშესაფარი უნდა იმოვნოს შესეიდვით იქნება ესა თუ სხვა რამ საშუალებით. უბინადრობა ძირს გამოუთხრის ქართულ თეატრის ანსებობას.

თეატრს და სცენას უწინარეს უოველისა ასულდგმულებენ და ადორობენ სცენის მოღვაწენი — მსახიობნი.

ჩვენს სცენას ეავდნენ და დღესაც ევანან ჩინებულნი მუშენი, მაგრამ სამწუხაროდ რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლები და ცუდი ზირი უჩანს ქართულ მსახიობს...

წინანდელნი და აწ უოველნი ძველდებიან; მათი მიმდევარნი და დირსეულნი მიმეოფენი და მოადგილენი არ სჩანან.


არ სჩანან განსაკუთრებით მომზადებულნი, განვითარებულნი და ინტელიგენტი ძალები.

ამის მთავარი მიზეზი ჩვენი სცენის მუშათა უოველად უნუკეში და ნივთიერად უოვლად აუტანელ ზირობებია.

ჩვენმა სცენამ უკვე განვლო ხანა ახალგაზრდობისა, სიჭბუკისა, ადრეობისა, და თავგანწირვისა. დადგა დრო სინამდვილისა და გასაჭირი ჭეშმარიტებისა.

უოველი შრომა და გასჯა შესაფერს სსსკადეს და საფასურს მოითხოვს. ჩვენი სცენის უსახსრობა კი ახლანდელ არის გადაქცეული. აუცილებლად საჭიროა, რომ ეხად ადებულს უსახსრობას რაც შეიძლება სჩქაროდ ბელო მოდოს. მსახიობნი ზურს უნდა სჭამდნენ არა ხუთი თვეს, არამედ თორმეტს.

არც ერთი თეატრი დღემდე არის ზურგზე უშეცვლელად, სხვათა შეუმწეველად არ ხარობდა და არც ჩვენში იხარებს იგი. კერძო შემწირობებით იქნება, თუ საუოველთაო წვლილის გაღებით, ან ბანკების თუ თავდაზნაუ



რების თანხის შეწევნით, ეგ წყარო თეატრის არსებობის რაც ხასხარი იქნება მაშინ სწრაფად გაუმჯობესდება რეპერტუარიც მხანობათა სელაფნობა. ინტელსგენტი. ნმჭიერნი თავგამოდებულნი მუშაგნი სამომავლებით დაქაფებებიან სტენის სამსახურს. უსათუოდ უნდა გაჩნდეს დაუყენებელი.

ღუთისით ჩვენმა ზრდა-ვინცამ შესაფერი სიფხიზლე გამოიჩინა და უკვე არსებობენ დრამატული საზოგადოებანი და წრეები საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში.

რადგან თეატრი და სტენა,—იმ ქვეყნებსა და ერებში, სადაც ეკლესია და სკოლა დაჩაგურდნი და ძირ გამოთხრილია,—ერთს უძლიერეს კულტურულ იარაღს წარმოადგენს თავის ერთგული და სულეიერი ელფერის შესანახუნებლად. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ტიფლისის ქართულმა დრამ. საზოგადოებამ თავს იღვას უკვე ამ თეატრალურ წრეთა და ჯგუფთა ყოველწლიურად შეკრება ერთად მოღვაწეობა ერთი გეგმისა, სამოქმედო პროგრამისა და პრაქტიკულ მეტადინეობის შესამუშავებლად. ამ დრო გამომშვებითი კრებებს დიდი ზნეობრვი და პრაქტიკული ნაყოფი ექნება. ზოგი მერე იყოს.

მწიგნობარი.



მეაბრეშუმეობა ჩვენში.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ყოველ გაზაფხულზე ჩივილი და წუხილი ისმის. ჯერ ჩივიან, რომ ხალხი მოატყუეს აბრეშუმის თესლის შეძენაში, შემდეგ კი როცა მოსავალი დამთავრდება და პარკის გაყიდვის დრო მოვა, განსაკუთრებული აურზაური ატყდება ჩვენს გაზეთებში—ხალხს წონაში ატყუებენ, ხალხს ყვლეფენო. და ყოველთვის საქმე ამ ჩივილით თავდება. ორიოდ ადგილას საზოგადო სასწორის გახსნა, რასაკვირველია, ვერ ალაგმავს მყიდველთა უსინდისო მოქმედებას. ამნაირად სოფელი ისევ ძველ პირობებში რჩება, ისევ მისი ქონებით გამდიდრების მსურველთ პარპაშისათვის ფართე გზა ეშლებათ. სოფელი სუსტია, ხოლო სუსტის ძალა შეერთებაშია. სხვა კულტურულ ქვეყნებში თუმცა ბრძოლა გაცილებით უფრო ძლიერია და ღრმად სწარმოებს, ვიდრე ჩვენში, მაგრამ აქ მაინც სუსტს რაოდენადმე მფარვებას უწევს კანონი, თვით შიდა რუსეთშიაც კი, საერობო დაწესებულებანი მოქმედებენ, ბევრ ადგილას ერობამ ხელი გაუწვავდა სოფლის ხალხს, შეაკავშირა, კრედიტით დაეხმარა, ასწავლა თავის ნაწარმოების დამუშავება და ბაზარსაც კი ჰპოულობს ამ ნაწარმოებისათვის.

ჩვენ მოკლებული ვართ ყოველივე საზოგადო დაწესებულებას, რომელსაც კი შეძლება ჰქონდეს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ჩაერიოს. ეს კიდევ არაფერია. თვით აზრთა მიმდინარეობა ჩვენს ხალხში ისეთია, რომ სრულიად ხელს არ უწყობს პრაქტიკულ მოქმედებას ეკონომიურ ნიადაგზე. ზოგადი ფრაზების გადასროლ-გადმოსროლით ფონს, რასაკვირველია, ვერაინ ვაჟა და ვერაი რეალურ, საგრძობელ სარგებელს მოუტანს ხალხს. პირობით

ფრაზეოლოგიაში ცურაობამ ჩვენში შექმნა უთვალავი თითქო ნასწავლი, ნამდვილად კი არაფერის მტკიცედნი პირნი, რომელნიც არც თავის თავს არც ბაღს არც ხალხს. თვით ხალხსაც, მუშასაც არ ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ მოქმედებას. საერთო ხასიათი ისტორიულ პირობებშილ შექმნილი ჩვენში ხალხზედაც გადადის და ისეთი საქმიანობა, რომელიც განსაზღვრულ, წინასწარ გაზომით მოქმედებას მოითხოვს ადამიანისაგან, ხალხშიც იშვიათია. ყველა ისე ცხოვრობს, თითქო ღროვით დასახლებული იყოს თავის მიწა-წყალზე. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია იმერეთს თვალი გადაავლოთ. თქვენ აქ შეხვდებით აქა-იქ კულტურულად გაშენებულ ვენახებს, ბაღებს, ხოლო უმეტეს შემთხვევაში მოზრდილ ეზოებს, სადაც ორი-სამი პანტა სდგას დი უფრო ხშირად ყოველად გამოუსადეგარი ხეები. ხალხში რომ მეტი საქმიანობა, მეტი წინდახედული მოქმედება იყოს, მაშინ ჩვენი კულტურული განვითარება გაცილებით უფრო წინ წავიდოდა. მაგრამ განა ხალხი გასამტყუნარია? ჩვენში დააყარებული სისტემა მართველობისა არის მხოლოდ ხარკის აკრეფის სისტემა. ხალხი მუდამ იხდის ხოლო მას არავითარი სახით ეს გადასახადი არ უბრუნდება. მისთვის არავის ემეტება არც ექიმი, არც მეურე, არც ხეირიანი მასწავლებელი და სკოლა, ამ პირობებში ის უნებლიედ გამვლელ-გამომვლელს ლუკმა ხდება ასეთ პირობებში ერთად-ერთი გზა დაგვრჩენია—ესაა თვითმოქმედების გზა. განა ჩვენ მარტო ადგილობრივი მყიდველი გვატყუებს და გვრჩება? ყოველ დაუმუშავებელ მასალის გამყიდველი არის მონა იმისა, ვინც ამ მასალას იძენს. შუამავალ ვაჭრის ჩამორჩენა სასხენებელიც არ არის იმასთან შედარებით, რამდენსაც რჩება თვირ მრეწველი, მექარხნე, რომელიც ჩვენგან იძენს დაუმუშავებელ მასალას, ამნაირად ჩვენ ნამდვილი მონა ვართ მწარმოებლისა. ამ მონობისაგან თავის დაღწევა მეტად ძნელი საქმეა. დამოუკიდებელნი ერები თავის სახელმწიფოებრივ წყობილების შემწვობით ცდილობენ განთავისუფლდნენ სხვა ქვეყნების სამრეწველო მონობისაგან და მაინც ეძნელებათ თავის დაღწევა. ხოლო ჩვენ მოკლებულნი ყოველივე სისტემატიურ. გაერთიანებულ ეკონომიურ მოქმედებას, სრულიად უღონონი ვართ თავი დავიცვათ და თანდათან მაინც შევეცადოთ დამოუკიდებელი სამეურნეო ცხოვრება შევქმნათ. მაგრამ რაც აუტანელი პირობა არ იყოს, რაც არ უნდა ძნელი იყოს ჩვენთვის საკუთარ ფეხზე დადგომა, მაიც ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ამაზე ვიფიქროთ და შევეცადოთ თავი დავაღწიოთ იმ ეკონომიურ მონობას, რომელიც ყოველგვარ მონობაზე უფრო მძიმეა. ამისათვის ჩვენ ორი გზა გვაქს. ერთია — საშინაო მრეწველობა. ჩვენში ძველადანვე განვითარებული იყო სხვა და სხვა ქსოვილების საშინაო საშუალებით დამზადება. თუმცა საქარხნო მრეწველობის განვითარებამ საშინაო მრეწველობას

არსებობა მეტად საძნელო გახდა, მაგრამ მაინც ამ უკანასკნელს შეუძლია იარსებოს, ხოლო ამისათვის საჭიროა ორი პირობა: გაუმჯობესების შეტანა ამ საქმეში, რამდენადაც კი მოსახერხებელია. ღ მოწყობა გასაღებისა. რომ ისევ ჩარჩების ხელში არ ჩავარდნის მწარმოებელი, დღეს ჩვენში ბევრ ადგილას შეხედებით თვალსაჩინოთ განვითარებულ ხელსაქმეს, ამ მხრივ ხალხმა დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. მაგრამ ხალხი სრულიად უმწეოა გასაღების მოწყობაში. არც ამხანაგობები, არც ისეთი დაწესებულება, რომელიც მყიდველს აცნობდეს ხალხის ნაწარმოებს, არც კრედიტი. მაგრამ ყველაფერი ესეც რომ მოვაწყოთ, მაინც შეუძლებელი იქნება მარტო შინა მრეწველობასე შეფხერდეთ. საჭიროა ისეთი ფორმებიც შექმნათ. რომელნიც ჩვენ ნაწარმოებს ევროპის ნაწარმოების ბადალს გახდის. რა საკვირველია, ჩვენ ვერ შევძლებთ უეცრივ ქარხნების დაარსებას, მაგრამ ეს მაინც შეგვიძლიან, რომ პარკი ამოვახვიოთ და ძაფად ვაქციო. ეს არც დიდ ხარჯს, არც დიდ მომზადებას მოითხოვს. ხოლო ამ საქმეს უნდა მოთავე რომელსაც შეეძლოს საქმეს გაუძღვეს. ჩვენდა სამწუხაროდ, აქაც სუსტნი ვართ. როცა მივიხედ-მოვიხედავთ და ვამჩნევთ. რო ქალაქები არა ქართველთა ხელშია, გულს ამით ვამხნევებთ, რომ, საქართველო მეურნეობის ქვეყანა არისო. მაგრამ ამ მეურნეობის ქვეყანაში სამეურნეო აზროვნება, კი გზის გაკვლევა კი თითქმის სრულიად შეჩერებულია. ამ ნი-ადაგზე მოქმედებს ორიოდენ ინსტრუქტივიც და არც მთავრობის მოხელე. ჩვენმა მეზობელმა, რომელიც ჩვენ მხოლოდ არშინით ხელში წარმოგვიდგენია ამა-შიდაც გაგვისწრეს. სომხებმა კარგა ბანია დაარსეს სომხური სამეურნეო საზოგადოება რომელმაც უკვე საგრძნობელი სარგებლობა მოუტანა ხალხს. გამოსცეს სამეურნეო წიგნები, დაარსეს და აარსებენ კოოპერატიულ სამეურნეო ამხანაგობებს. ავრცელებენ ხალხში სამეურნეო ცოდნას სისტემატიურ ლექციების შემწეობით. ჩვენ კი გაფხერებულვართ და ძველებურად «ჰარი--არალეს» ვიძახით. მერე როდემდის? ჩვენ ვფიქრობთ რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დავაარსოთ ქართული სამეურნეო საზოგადოება ხალხს გზას გაუკვლევს მოქმედებაში, შეაერთებს სოფლის ხალხს სერთო ეკონომიურ საქმიანობისათვის და ამ გზით შეუმსუბუქებს მის ათას ნაირად დაშხამულ არსებობას.



ს ი მ ა ზ ი ნ ჯ ე

დრამა 4 მოქმედებად ნ. შუიკაშვილისა
(დასასრული)

მ ო ჯ მ ე ლ ბ ა მ ო ო თ ხ ე

ს ო ნ ა. დაათვათ!

ვ ა ს ო. რა ბევრი ვილაზარაკო: გეფიცები სონას, უშენათ მე აქედან ცოცხალი არ გავალ, ცხრა კუზიანიც

რამ დაგეპატრონოს!

ს ო ნ ა. ეგ ძალადობას... მე... *სონა*... *სონა*... *სონა*... ცოცხლობს!..

მ ა ს ო. (ატაცებული) ეგ სიძრუეა! მე შენ ნების არ მოგცემ ამ მახინჯის განდე და, თუ გაჭკებდე-ბი, სხვანაირად დავაბოლოებ ამ შემადწუნებელ, საზიზღარ ქარწინეს!.. (პაუზა)

ს ო ნ ა. (ჩაფიქრებული) ეხლა დრო არ არის მაგაზე ლაზარაკი... სვალ!..

ვ ა ს ო. ხა, ხა, ხა!.. რატო ეს სვავი გაკვივების?! (შემოდის საბა. გაფითრებულია ბრაზისაგან, მაგრამ თავს იკავებს)

ს ა ბ ა. მოუხერხებელია, სონა, შენი აქ ყოფნა!

ს ო ნ ა. მახტივუთ!.. დღეს უკანასკნელი დღეა ჩემის თავისუფლებისა... ეხლავე მოვალ!.. (საბა მხრებს იწვეს და გავა-სონაც ადგება.)

ვ ა ს ო. მაშ?..

ს ო ნ ა. მაგისა თქვენ ნუ გეშინიანთ...

ვ ა ს ო. სონა, ეგ ზირუტევი ძალადობასაც არ მოერიდება! რას გააწეობ შენ სუსტი მაგ მხეტან!..

ს ო ნ ა ჩემი ცოცხალი თავით არ დაწებები!

ვ ა ს ო. შენი სურვილი მაგისთვის სულ ერთია—თავით შეგკრავს!

ს ო ნ ა. მაშ რა ვქნა?.. ჩემი აქედან წასვლა დღეს შეუძლებელია!

ვ ა ს ო. (დაფიქრდება) დღეს მე ერთი სასხარისთვის უნდა მიმემართნა... ეხლა ეს სასხარი ჩემგან საჭიროა აღარ არის და შენ-კი შეიძლება მეგობრობა გავიწიოს.

ს ო ნ ა. რა სასხარი?

ვ ა ს ო. (ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებს) აი! (სონა ოდნე შეჰკვივლებს) თუ მართლა გინდა თავი შეინახო, დაიტოვე აქ: ვინაცხობა შენზე ძალადობა იმ-მარა, ამით მოიგერიე... მოჭკად, თუ აუცილებელი გახდა, დადნე თავი შეშინებ! (აძლევს)

ს ო ნ ა. (დაფიქრებული ჩამოართმევს) კარგი!

ვ ა ს ო. ჯერ აქ სდამე შეინახე! (სონა ათვალიერებს ადგილს და ბალიშს ქვეშ ამოსდებს) მაშ გულ-დამშვიდებული ვიყო?

ს ო ნ ა. (ჩამტერდება) იყავით!. წავიდეთ..

ვ ა ს ო. (სიყვარულით უყურებს) დმერთო. ნუ-თუ ისეგ სიცოცხლეს ვუბრუნდები!

ს ო ნ ა. წავიდეთ (გაღიან სასადილო ოთახში) (ცოტა ხანს სცენა ცარიელია. გამოდის დარეჯან და ზარს რეკს. შემოდის ფილიპე.)

დ ა რ ე ჯ ა ნ. ნუღარაფერს ნუ მოიტანთ!..

ფ ი ლ ი პ ე. ბატონი ბრძანდებით. (გაღის)

(შემოდის საბა)


ს ა ბ ა. ფილიპე იყო?

დ ა რ ე ჯ ა ნ; ჭო, საჭმელი აღარა გვინდა-რა შეთქი... ხელი არაფრისთვის არ უხლათ... წავიდნენ ერთი ჩქარა თვითონაც მოისვენებენ და ჩვენც მოგვასვენებენ.

ს ა ბ ა. მართალია.

დ ა რ ე ჯ ა ნ. ეგ სტუდენტი ძალიან თამამად იტყვას

ს ა ბ ა. მე ეხლა ვუჩვენებ თავის ადგილს!. (შედი-



ან სასადილო ოთახში. საბა ისევ ჩქარა გამოდის ვასო მოჰყავს ხელ-ჩაკიდებული.)

საბა. (დაცინვით) თქვენისთან განათლებულ კაც-უფრო მეტი ზრდილობა მოეთხოვება! (ვასოს ჯიბეში ხელები აქვს ჩალაგებული და მკაცრად თვალბრუნებებს) თქვენ კარგად იცით რომ, რომ ჩემთვის საიდუმლო არ არის თქვენი და ჩემი... ცოლის წარსული დამოკიდებულება; მიუხედავად ამისა, ნებას აძლევთ თქვენ თავს და ჩემი ქორწილის დამეს ზატარასდეს იწვევთ ეგრე მოურიადებლად, რომ მასთან ჩუქრულ-კურკური გამართოთ!

ვასო. მაგის დასტური თქვენზე-კი არ არის დამოკიდებული—სონასზე

საბა. ჯერ ერთი, სონა თქვენთვის სონა აღარ გახლავთ და, მეორეც, ვეკლა—ფერი, რაც შეეხება ჩემ ცოლს, შემიხება მეც!

ვასო. სონა არც უფიქლა და არც რადის არ იქნება თქვენი ცოლი?

საბა. ხე, ხე, ხე!.. უმწვიფო კაცო, დამშვიდდი. დამშვიდდი!.. ხე ხე ხე!..

ვასო. მე დამშვიდებული ვახლავარ!

საბა. ხე, ხე, ხე! დამშვიდდით, (დამშვიდდით!.. ხე, ხე, ხე!.. გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი.. დიას!.. ნაცნობობის გაგრძელება მოუხერხებელი იქნება.. ხე, ხე, ხე!..

ვასო. და უფლად შეუძლებელიც!..

(შემოდის სონა. უკან მოსდევენ ყველანი)

საბა. ხელებს ისრესს) აშლილხართ... ეშურებით, ეშურებით...

ვასო. (საჩქაროდ მიუახლოვდება სონას და ხელს ჩამოართმევს) მამ ნახვამდის!.. (თვალბრუნებებს) ჩააშტერდება) არ ისუსტო!.. (მაგრად ჩამოართმევს ხელს და გადის სონა მთელი შემდეგი სცენის დროს უნძრევლად დგას დარია მოხევევა აკოცებს და ტირილით გადის თომატ მიუახლოვდება მაგრამ ცრბმლებს ვერ იმაგრებს, უცუა ხელს გაიქნევს გაარუნდება და გავა. მანო აწოცებს და აჩქარებით გადის)

შაქრო. მშვიდობით! (გადის)

გიორგი. ტირილით კისერზედ დაეკიდება) სონა. (გარბის. სონა, საბა და დარეჯან ცოტა ხანს ისევ ისე დგანან უნძრევლად. მერე დარეჯან მიუახლოვდება სონას)

დარეჯან. (დაუჭერს მკლავს აკოცებს და ეშმაკური ღიმილით თვალბრუნებებს) ესლა მე აქ მეტი ვარ! ესლა თქვენ იცით!.. დინჯად შუა კარებისაკენ მიდის; თავი სონასკენ აქვს მიბრუნებული და ილიმება. კარებში შედგება და საბას თითებით ანიშნებს—«ბრჭყალები ჩაუყარე!» გადის. საბა და საბა და სონა ისევ ისე მოშორებით დგანან. სონა გაშტერებული სივრცეში იყურება, საბა-კი მას შესცქერის. დინჯად მიუახლოვდება და წელზედ ხელს მოხვევს. სონა უნძრევლად დგას, ასე გგონია, არც-კი ჰგონობს ხელის შეხებასაო. საბა დინჯად დაიხრება საკოცნელად. სონა გამოერკვევა, შიშით განზედ გაიწევს და გაოცებული დააშტერდება საბას; მერე

შუბლზედ ხელს ისვამს და ოთახს ათვარიელებს, ასე გგონია, ფიქრებს იკრებსო. ისეც საბას დასტურდება!

საბა. (აღერსით) რის გეშინიან, ჩემო სონა?!. მართალია, ქმრის ზირველი აღერსი ქაღს რაღაც გამოერკვეულ შიშს ჰგვრის, მაგრამ ეს ცნობების ჩვეულებრივი მოვლენაა და არც სასიფათოა!.. რომ იცოდე, ჩემო სუფარელო სონა, რა ბედნიერებას ვგრძნობ!.. ჯერაც ვერ შეუთვისებიავარ იმ აზრს, რომ სონა, მშვენიერი სონა, წეში ცოლია, ჩემი!.. მართალია, ჩემი გარეგნობა ვერაფერი ნუგეშია ქაღისთვის. მაგრამ მამაკაცს კიდევ ბევრი სხვა-რამ ვაჟ-კაცური დინსება მოეზოვება, რომელიც ათანასწორებს მას ცოლის სიმშვენიერესთან!.. იმედი მაქვს, ჩემშიაც იხილავ რამ დინსებას და შეურიგდები ჩემს გარეგნობას!.. ნუ შემიზიზღებ, სონა... მთელ ჩემ სიცოცხლეს შენზე ფიქრს და ზრუნვას მოვანდომებ!.. (სონა ისევ გაშტერებული დგას და შესცქერის. საბა ხელზედ ხელს მოჰკიდებს) აბა, მადი, რა გიხვეწა!.. (მიჰყავს საწოლ ოთახისაკენ. სონა ავტომატიურად მისდევს. საბა კარს შეაღებს და უჩურობს) უყურე!.. როგორ მოგწონს ჩვენი სიუფარეულის ბუდე?.. აბა ახლო ნახე... შევიდეთ... (უნდა შეიყვანოს)

სონა. (ისევ გამოერკვევა, უცებ გაუსხლტება ხელიდან და შიშით ატანილი) არა, არა, არა!

საბა. (ღიმილით) რის გეშინიან, სონა?!..

საბა. (ათრთოლებული) არა, არა... მე მანდ შესვლა არ შემიძლიან!..

საბა. შენ ხომ ჩემი ცოლი ხარ!

სონა. (გაკვირვებული) ცოლი?!..

საბა. ჰო, ცოლი! ჯვარი არ დავიწერე დღე!... (სონა გაკვირვებული უყურებს, საბა ისევ მიუახლოვდება) წამოდი!..

სონა. არა, არა!.. ნუ მიახლოვდებით!..

საბა. მაგ ბავშური ფინიანობით მსოფლივ დავიტანჯებით.. ბოლოს ხომ უნდა ასრულდეს!..

სონა!... არ შემიძლიან!


საბა. რა არ შეგიძლიან?

სონა. თქვენი ცოლობა!

საბა. ცოტა გვიან არის მაგაზედ ფიქრი!.. უსიამოვნება უსიამოვნებად შეგვრჩება, ბოლო-კი ერთი იქნება!.. (მივა და ხელს მოჰკიდებს) წამოდი, სონა!..

სონა. (გაუსხლტება) მამოწოდით, არ შემიძლიან!.. (საბას ბრაზი მოსდის, ფიხრდება. დააშტერდება. მერე უკმაყოფილოდ მხრებს შეიშუშუნის და ჩაფიქრებული გავა საწოლ ოთახში.)

სონა. (აღელვებული დგას და შუბლზე ხელს ისვამს. აზრები ვერ მოუკრებია) დემოთა ჩემო, ეს რა გარემოებაში ჩავყენე ჩემი თავი!.. სულის შემსუთავი სიზმარივით დამწოდია სინამდვილე და ვერ გამოერკვეულვარ!.. ეს, ეს... (შიშით საწოლ ოთახისაკენ იყურება) სასარგელი ადამიანი ჩემი ქმრია... კანხით ნება აქვს სიუფარეულო მამოთხვოვს... საწოლ ოთახისაკენ მიიწვევს ცოლ-ქმრულ აღერსისთვის!.. (შიშით მოიკრუნჩხება და მთელი სხეული უთრთის) არა, არ შემიძლიან... აუტანელი წამება მიუხედავ ჩემ თავს!.. ჩემი ძალ-



დამე ვარ გაითვალისწინე!.. ვისი შური ვიძიე?!.. სსსა სსსა სად არის?.. (მომწყვდეული ნადირივით აქეთ-იქით იყურება) ესაა გამოიყვანს და... თავის მახინჯს გულზე მიმიხრჩობს... (სუნთქვა ეკვრის და გიჟივით აცეცებს თვალებს. შუა კარიდგან შემოდის დარეჯან. საღამური განიერი კაბა აცვია თმა გადალოკილი აქვს და წვრილი ნაწნავი ჰკილია. სონა შეპკივლებს და ავან-სცენისკენ გაიქცევა.)

დარეჯან. ხი, ხი, ხი!.. ნუ გეშინიან... (მიუახლოვდება) რას თრთი, სონა?.. ნუ გეშინიან!.. (ხელს მოპკიდებს და შუაზედ მოჰყავს)

სონა. (ხვეწნით) მიშეკლეთ, მიშეკლეთ!..

დარეჯან. ხი, ხი, ხი!.. რა სუფულები ხართ ახლგაზრდა ქალები!.. სიხმარშია-გი გათხრება გელანდებთ. მერე-გი იზრანტებთ!.. რაგონ იქნება სონა!.. მართლაც ბავშვი ხომ არ ხარ!.. განა არ იცოდა ცოლის მფაღუმბა?!.. მთელი ქვეყნიერება ეგრეა და კი არა უშავდებთ-რა!.. (ხუმრობით) ეგრე იცით: ზირეკლად დიდ უარსედა სდგენათ, მერე-გი შებინდებთ თუ არა, ზირეკლი გაბნინათ სწოლ ოთახისკენ... ხი, ხი, ხი!..

სონა. (სასოწარკვეთილებით) არ შემიძლიან!

დარეჯან. რა არ შეგიძლიან, ქაღა?!.. უმაგისოდ ხომ ვერ გადარჩებით.., დღეს იქნება, თუ ხვალ... ესაა გიჩვენებთ მარჩე და მოისვენო—დახუტე თვალები, გაიქე, კისერზედ ჩამოკედე საბას. . ხი, ხი, ხი!..

სონა. (თრთის) არ შემიძლიან... მიშეკლეთ რამე!.. (გამოდის საბა. სონას უფრო აიტანს შიში და დარეჯანს ებლაუტება)

დარეჯან. სონა ჰგვიანი გოგონა... ესაა გამოგეყვება!..

საბა. (უახლოვდება) ნუ გეშინიან, ჩემო სონა... ტუეილად დაიტანჯები... ძილის დროც არის!.. (ერთს მხარეს დარეჯანი უდგას, მეორეს საბა)

დარეჯან. ჰო, ჰო, სონა... წადი, დაიძინე!.. ესაა ვამოგა... (აწვება საწოლ ოთახისკენ წასაყვანად)

სონა. (გაუსხლტება ხელიდგან) არა, თავი დამანებეთ!

საბა. (ბრაზს ძლივს იკავებს) თავი დაანებე, დარეჯან!.. წადი, შენ დაიძინე... რადემდის იქნება ეგრე!.. (გაბრაზებული გადის. დარეჯანიც შუა კარებისკენ მიდის)

დარეჯან. (კარებში მოუბრუნდება სონას) ხი, ხი, ხი!.. (გადის. სონა შიშით ატანილი დგას და შემოილივით იყურება აქეთ-იქით. ცოტა ხანს უკან საწოლ ოთახის კარებში გამოჩნდება საბა. საზარელი სანახაობა აქვს: მთლად გაყვითლებული, ჩაცვინული თვალები გველივით იყურებიან, ქვევითა ყბა უთრთის)

საბა. (შედგება კარებთან და ყრუდ) წამო... (სონა მოჯადოვებულივით შესცქერის და განძრევაც ვერ მოუხერხებია. საბა უახლოვდება.) წამოდი!.. (საბა თვალებით ჰხვრეტავს სონას, აჯადოვებს. სონა უმწეოდ შეპყურებს და თრთის) წამო!.. (საბა მიუახლოვდება, მაგრამ მოპკიდებს ხელს და ხელში აყვანა უნდა. სონა საშინელის ძალით გაიწევეს და ხე-

ლიდგან გაუსხლტება; საბას თეთრი ტანისამოსის ნაფლეთები შერჩება. სონა მივარდება დიფანთან, ბავშვი ლიმ ქვეშიდგან გამოიღებს რევოლვერს და საბას დაუმიზნებს)

სონა. ფეხი არ გადმოსდგათ! (საბა ჯერ გაშტერებული უყურებს; მერე დინჯად, უშიშრად მიდის პირ-და-პირ გამოწვდილი რევოლვერისკენ) გესწოთ!.. (საბა მაინც მიიწევეს) გეგადრებით... შესდექით!.. (საბა მაინც მიიწევეს. როცა მთლად მიუახლოვდება, სონა გაიქცევა მეორე მხარეს და ტახტზედ შეხტება. საბა იქით მიდის.) თუ თქვენ მკვლას ვერ ვბუდავ, გეფიცებით ჩემ თავს არ დაფინანებ! (გულზედ რეველვერს მიადებს. საბა ჯერ შედგება, მაგრამ ისევ მიიწევეს. სონა სსსოწარკვეთილებით) შესდექით!.. შესდექით!.. ახ.. (გავარდება რევოლვერი და სონა მკვდარი დაეცემა. საბა მივარდება და მის წინ მუხლებზედ დაეცემა.)

დარეჯან. რა მოხდა?.. ახ... თავი შოკდა?.. (დაიხრება და სონასა სინჯავს)

საბა. (წამოდგება დაფანტული, ასე მგონია, ერკვევაო. მერე საზარლად გადიხარხარებს) ხა, ხა, ხა!.. ესეც ხელიდგან გამისხლტა?!.. (გაშმაგებული მივარდება სონას და ხელებითა სრესს.) არა ჯერ ისევ თბილია!.. თუ სიკვდილია, ჯერ ჩემი ცოლი გახდეს!.. (დასტაცებს ხელს წასაღებად)

დარეჯან. (გააფთრებული ეცემა საბას და საშინელის ძალით ჰკრავს ხელს, საბა წაბარბაცდება.) იქით, მხეცა!.. (საბა მუშტებ მოკუმშული მიიწევეს დისკენ. დარეჯან მივარდება მაგიდას, აიღებს ზარს და დარეკავს. შემორბის ფილიპე.) წადი, შეატყობინე, რომ ზატარძლი გარდაიცვალა!

ფილიპე. (შეზარული) გარდაიცვალა?!.. (სასოე-ბით პირ-ჯვარს გადაიწერს) დემრთა, შეგვიანდა!..

ფ ა რ დ ა .

გეითქმულღბა

პიესა 4 მოქმედებად.

კოპის „სევერო ტორელიდან“
მოამედება მისამი

ქ უ რ ა .

(დიდი მოედანი, შუა სცენაზე აღმართულია მარმალის დეგლი, რომელზედაც ლომის ქანდაკება სდგას ძეგლზე. წარწერილია „სიკვდილი შაჰსა“. მარცხით შაჰის სასახლე მოსჩანს.)

გამოსვლა პირველი.

გრიგოლ, ელიზბარ, მამუკა, სოლომონ, გიორგი და სხვა შეთქმული ხალხი. სოლომონი ქანდაკებზე წარწერას ჰკითხულობს, ხალხი ერთმანეთს თითოთ უჩვენებს წარწერას.

ხალხი. სიკვდილი შაჰსა

სოლ. ცეცხლი აფრქვევ. ღამე მინდვრისა, უცნობს ხელსა შენს ძვირფას ძეგლზე ადმუფათი სიტყვა წაუწყნა.

ელიზ. სხვა ძეგლებზედაც ასე სწერია?

სოლ. თითქმის უგელაზე. მე თვითონ ვნახე
თეთრ მარმადილას ქანდაკებაზე
დიდ ასობით იგი სიტუეები.
დადი დაუსვამთ შემარცხვენიელი.

ელიზ. მე ეს არ მომწონს. იქნებ ამ ქვევამ
ჩვენ მოგვყენოს დიადი ვნება.

ხალხი. (ამხვრევს ქანდაკებას)
ამის ღირსი ხარ... ქვევანის მშერობელი!
გადმოფრენილო სამხრეთიდან.
წავიდეთ, ვნახათ სსვა ქანდაკები.
და მტვრად ვაქციეთ ძველი კერბები.

ხმები. წავიდეთ! წავიდეთ! სიკვდილი
მტარვალს!

გიორგ. ხალხი ჯერ კიდევ უსუსურია.

ელიზ. მეც შეთქმება აჯანყებისა
ვაი, თუ საქმე უფრო წავაგდოთ,
უცბად იფეთქეს, იწეეს უფირილი
და შეიფვანეს მით შაჭი უჭვში.

გრიგ. აბა სად თქმულა საიდუმლო ხალხმა დაჭყა-
რის?

დამნაშავენი თვით ჩვენა ვართ, ჩვენ ვაგებთ ზასუსს.
თითქოს ვიღაცა ძალას გვატანდეს,
ვერ შეგვიანხავს გულს საიდუმლო
და საქართველოს სადღეგრძელოც ვსვით.

მამუკა. მეც შეთქმება მათმა უფირილმა.

სოლ. ხალხთან წავიდეთ, თვალი ვადვენთ.
(გაღიან)

გამოსვლა მეორე.

სვიმ. მისი შვილი ვარ! დამე თენდება
და დღე დამდება, მაგრამ გულს სევა
და შიგი ფიქრი არა მშორდება.

ვითა ახრდილი თავს დამტრიალებს,
თითქოს შუბლზედა სისხლის ასოთგან
ღრმად წაწერათ ჩემი შერცხვენა.

დამე ხიდას ქვეშ მე გავათენე
და წყლის ჩქრადი თუ ნელი სიო
არ მასვენებდნენ, უერს ჩამძახდნენ:
შაჭია, შაჭია მამაშენია.

შემდეგ გაველი ტრიალს მინდორზე,
მაგრამ იქაც კი მკრთალი ვარსკვლავნი
ზიზღით მიტყერდნენ, მიბნელებოდნენ.

განთადისს ვიხილე ჯვარი,
ხალხისგან ერთ დროს გზად აღმართული,
მუხლთ მფიყარე, მსურდა მელოცნა
მაგრამ ვერ შევძელ! — მისი შვილი ვარ!
მთლად გამეუინა ძარღვებში სისხლი!
დაიხ, შვილი ვარ იმ წვეულისა!
ჩემი მამულის დამღუბველისა.

გაგების დღიდან მე აღარ ძალმიძს
ვიხილო დედა, მამა მახუცი.
მთელ დღეს ვიარე უგზო-უკვლოდ
და დაღაღუღა, ღონე მიხდილსა
ტრიალ მინდორზე მიმძინებოდა.
შემდეგ წინაზართ საფლავნი ვნახე.

იქა შეფობდა მკვდრული სინამე.
მსურდა მათ ახლო დამდგარეფე,
მაგრამ რა ადგილს მიუყვანდა?
უცბად მომესმა: ვინ ხარ შენა?
უგულებელ მუვეს ჩემთა წინაზართ,
აწ უგზო-უკვლოდ დავკეტები
და ჩემი ალექსია... (შეკრობდა) ალექსია მივეცი!
მაგრამ ვით შევძლო აწ აღსრულება,
ადეს ბუნების უტყუარსამეფომ,
გმირთ საფლავებმა და მათ ახრდილთა,
თითქოს ენები ამდგდესთ,
ერთხმად უფირილით მე მამაძახეს!
განგვმორდი, წადა ნაბიჭვაროცა!
ოჰ, ჯოჯოხეთო! (იხმის ძახილი: სვიმონ!)
ვგონებ მოდაინ

გამოსვლა მესამე.

შემოდის გრიგოლ, შემდეგ ელიზბარ, სო-
ლომონ, ია, მამუკა და სხვები.

გრიგ. სვიმონ!
სვიმ. აქა ვარ! გვიან მომნახეთ!

გრიგ. მე, მეკობარო, ბევრი გეძებე.
გაიგე ჩვენი უბედურება?

სვიმ. უბედურება? — რა რა მოჭხნდა?
გრიგ. ჭხედავ წარწერას?

სვიმ. (კითხულობს) მერე, რა იყო?

გრიგ. შაჭი ტყველს აფრქვევს, ძლიერა
შეურაცხეთვის მიუენებისთვის. | სტხარობს
ეჭვით ბრალს სდებენ უბრალოდ კაცსა,
და თუ არავინ გამოტყუდა მათში,
ვევლას ხვალ დილით თავებს მოჭკვეთენ.

სვიმონ. (გამოერკვევა და უცბად)
მე იმედი მაქვს, რომ მგამოტყუდება.

გრიგ. ტუფილად მთქმობ! გმირი არ არის,
ვინც ბნელს აფარებს თავის განზრახვებს
არც ძალა შესწევს გამოძევაფნების.

სვიმ. მამ ხვალ დილაზე თავებს მოჭკვეთენ?

გრიგ. ნეტა იცოდეთ რა ვუფაცებს!
საუკეთესო მამულის ერთგულთ.
ღეჯანიც მათთან შეზერობილია!

ელიზ. მამ ჩვენი ბედი ამ დამ რომ გადასწედეს,
ნიშანი მივცეთ აჯანყებისა.

მამუკა. მე კი არ გირჩევთ. კარგად და-
ამა ამბავმა დღეს შაჭის ჯარი | ფიქრდით.
ფეხს დაყენა და მზად არიან
ვინც უნდა მოჭხნდეთ — აღარ დაინდონ,
თუ ხერხით არა — ვერას ვაგზდებით

ელიზ. ეხლა აქეთკენ თვით გამოიფლის

სვიმ. (შემკრთალი) ის გამოიფლის?

ელიზ. რომ განჩინება ხალხს წაუკითხოს.

გიორ. მამ ვასრულეთ ჩვენი განზრახვაც
და აჯანყების ნიშანი მივცეთ!

სვიმ. სსხეს ვიხილავ!

ელიზ. შენც ჩვენთან დარჩი.
უნდა იცნობდე მის სსხეს კარგად,

რომ შემდეგ გულში ჩასტე მხვილი.

სვიმ. ეხლა აქ მოვა... სასეს ვინილაფ...
გამოსვლა მეოთხე.

(იგინივე. შაპ-აბაზი, ალაუსუფ, დაულ-ბეგ, იბნ-კაი, ჯარის უფროსი. ჯარი და ხალხი. შაპს ფალავანდიშვილი მოსდევს. ხალხი ყვირილ-კიჟინით შემოდის, უკან თორმეტი ტყვე მოჰყავთ.)

ჯარ. უფრ. გზას ჩამოეტათ. აბა ტყვეები წინ მოიფანეთ.

სვიმ. ოჰ სმინელსა წამსა განვიცდი.

ელიზ. აგერა შაჰი თავის ამალით...

და უკან მოსდევს წარჩინებულნი.
მაგრამ, ვის ვხედავ? ფალავანდიშვილს?
თიღოც აქ არის, ეს რასა ნიშნავს?

მამუკა. (ჩუმად უჩურჩულებს)
მან ხომ არ გაგვცა...

(შემოდის შაჰი ამალით)

სვიმ. ჩემს ახლას არის. ეხლა შევიტყობ, მართლა მამა ჩემი თუ არა?

მე არა მჯერა. დედამ იცრუა.

გრიგ. რა გემატება? რადა ჰქანკალებ?

სვიმ. არა მიშავს-რა... მალე გაიფიქრის.

(შაპს უახლოვდება და შემდეგ შემკრთალი უკან დაიწევს)
ოჰ საზიზღრობა! მსგავსება არის!..

შაჰი. (ხმა მაღლა და სასტიკად.)

ისმინეთ ყველამ და ეს იცოდეთ, რომ ჩემი სიტყვა კახონი არის.

წუხელ ქალაქში ათ ქანდაკისთვის ბორცოს ქუჩადად ზედ წაქეზა: «შაჰსა სიკვდილი!» და მეც თქვენგანა რიცხვით ამდენსვე მისხვერბლად მოვიტონო, რომ ძეგლთ წინაშე მივაფიქროვინო და კვლავ გინუნათ ჩვენთა მძლეობა.

აღლაჰი არის ჩემი მიფარველი და იცოდეთ, რომ დიდად მე, სულგრძელს, თქვენსა მიფარველს ხელთ მატეს ხალხთ მოწყალებაც:

თუ გი გამოტყდა ბორცო მამქმელი, სხვებსა სიკვდილი ემატებოდა. ხვალ საღამომდის თქვენ ნებას გაძლეეთ კარგად იფიქროთ, ასწონ-დასწონოთ და დამნაშავე წარმომიდგინოთ, ან და ნებითა თვით წარმომიდგეს, თუ გსურთ, რომ ათნი არ დაისჯნენ.
(ხალხში ღრტივინვა)

სვიმ. თითქმის მნათობმა სხივი მომიფინა და ბნელი სული კვლავ გამინათლა. არც გამოვიცხადებ მე ამ საქმისთვის და უფლად შემძლე ცოდვას შემიბნდობს, ისე მოვკვდები, რომ ვაღს მოვიხსნო, გამოვიყვანი ჩემსა შერცხვენას.
(შაპს ამაყად და გაბედულად)

აჰა, ძლიერო! თქვენ წინაშე სდგას თქვენი დიდების დამტყვევებელი და დამნაშავე მე ვარ სვიმონი, შვილი დავით მახაბეღის!

ყველანი (შემკრთალი) სვიმონი!

შაჰი; (აღელვებული)

თავხელო! მერე რითი ამტკიცებ?

სვიმ. მე შეუცნაურე თქვენი კერები და დირსიც მე ვარ დიდ სასჯელისა.

სოლ. ნუ თუ ყველა ეს მართალი არის?

შაჰი. განუმიდით!—სცრუობთ!

სვი. როგორ, მე ვცრუობ? მაგ სიტყვე-ფიციფა, ვერაფერს გამოიბედავ! | ბის თქმას

შაჰი: მომწონს ესრეთი გამობედაობა, მაგრამ აქ ეც არ გამოგადგება.

ადრე მიგიხვდი სულის კვეთებას და კარგად ვიცი, თავხელო ბავშვო, წუხელ სახლს არც გი გასცილებინარ! ვეძებ მე ნამდვილ ბორცო-გამხრახველს.

სვიმონ. ეს მე განსჯავარ!

შაჰი; (ჩუმად) განუმიდით! არ მსურს შენი

მინდა დაგისხნა განსცდელისგან, | დაღუპა. ვით მამაშენი ერთხელ დაგისხენ.

მე კარგად მესმის, რასაც ჩავდივარ, შენ გი ეცადე, ნურათერს მკითხავ! სკამარისა ერთი სიტყვა ვთქვა და თქვენსა ოჯახს ისეთს საშინელს დაღს დავასწამ, რომ საუკუნოდ ვერ ამოკრეხოს.

სვიმონ. ოჰ, ჯოჯოხეთო!

შაჰი. (ხმა მაღლა)

იცოდეთ. ხალხო, რომ მახაბეღმა თავის ქებითა იცრუა ჩემთან და დამნაშავე არც არის იგი.

უნდა იზოვნოთ ნამდვილი ჩვენი შემარცხვენიელი, თორემ ხვალ დილით ერთის მაგიერ ათი მოკვდება.

აბა წავიდე! (გაღის ამალით)

გამოსვლა მეხუთე.

იგინივე გარდა შაჰისა, ამალისა და ხალხისა


გრიგ. რა გითხრა უფრში, რას ჩურჩულობდით?

სვიმ. გემუდარებით, ნურათერს მკითხავთ. მე სიმულვილი გამოიკრეტა, რა მომხიბლველი სუხთქვა ვიგრძენი.

გიორ. საშერობილისკენ ტყვედ თავი უგრეს და ხვალ დილითა თავებს მოჭკვეთენ. ამაზედ მეტი დამტყვევება?

სვიმ. ოჰ დმერთო ჩემო! რა გემატება? გული კანკალებს, მუხლთ მეკვეთება!

გრიგ. მამულისშვილნო! ეხლა განუშორდეთ და სთათობროთ კვლავ შევიკრებნეთ ხვალდამ ელიზნარ ერისთავთანა.



შენ კი, რომელსაც იმედით გიმზერო,
 შურს იძიებ მამულის მტერზე.
 აბა, გავშორდეთ! ხვალ დამ შენთან ვართ!
ელიზ. მეც დაგინებდებით და ეს იცოდეთ,
 რომ მხოლოდ სამჯერ დაჭკარით ჭიშკარს.
 და ეგ იქნება თქვენი ნიშანი.
 (სხვა და სხვა მხრით იშლებიან)

გამოსვლა მეექვსე.

სვიმ. (მთვარე ამოდის და ნათელ სხივებს მოჰყვება)

«შენ კი, რომელსაც იმედით გიმზერო.
 შურს იძიებ მამულის მტერზე!»
 მკვლეელი შევიქმნე მამიჩემისა,
 თუ ვუღალატო ჩემთა მეგობართ?
 ცეცხლი მეღება მკვნიებაზე გულსა
 და არ მასვენებს, მწარედ მაკვნესებს.
 რად ვერა ვბედავ თავი მოვიკლა?
 თრში ერთია: ან უნდა მოვკლა
 შაჰი მტარვალა, ან და ვუმტეუნო
 მრავალ ტანჯულსა ჩემსა სამშობლას.
 სხვა გზა არ არის! ნუ, ნუ ემდური
 ბედს თან დაუფლილს, გულთ ტანჯულთ!
 დღეს შეურაცხეთ მან ჩემი გვარი
 და მხრეც მშობელთ მწარედ დასცინა.
 ის უნდა მოკვდეს და მისი სისხლით
 ჩვენი შერცხვენა ჩამოვიბანო.
 რა ზასუხს გავცემ შენე დედაჩემს,
 როცა იმ სისხლით შევისვრი ხელსა,
 რომელიცა სჩქეთს თვით ჩემს ძარღვებში?—
 ამ ბოროტ საქმეს ვერ მოვიქმედებ!
 რა შემიბრალე, გულთამხილათ!
 ჯერ კიდევ გუშინ მიუვარდა ხალხი,
 მიუვარდა ჩემი სამშობლო მხარე,
 ზატოვსა ვსცემდი და ვადიდებდი
 ჩემსა ნათესავთ და მეგობრებსა.
 ქვეყნად ვცოცხლობდი კეთილ საქმისთვის
 და მწაშლდა კვალად ჩვენი ადგილსა.
 სულით სხეტაკი და გულით მშვიდი
 დიად მომავალს დავისახავდი,
 შორით მესმოდა სატრფოს ალერსი,
 ვგრძნობდი, მელოდა მშვიდი სიცოცხლე,
 მაგრამ დღეს რა ვარ, რას წარმოვადგენ?
 დღეს მწარე სევდა სულს დამწოლია
 და, ვით არწივი, გულღვიძლს მიდადრის.
 განქრა იმედი, ტკბილი ოცნება!..
 სიცოცხლის სხივი ადრე ჩამიქრა...
 ახ, სადა ვბოფო სულის სიმშვიდე?
 ნეტა სამარე კარს გამიღებდეს
 და ტანჯულ გულს მიიბარებდეს.

(ლონემიხილილი კლდეს მიეყრდნობა.)

მთვარეს ღრუბლები გადაუვლის და ისევ გამოანათებს. გარედ ისმის სიმღერის ხმა საკრავზე დანამღერის.)

ს ი მ ღ ე რ ა :

ტურფავ, მიმდერე ჭანგი ციური,
 რომ გულმა ჩემმა გამოიღარეს;
 შორს გადატყორცნის ბაღე სეველსა
 და კვლავ ადღგენა სულს ახაროს.

შუბლი შემომკე ვარდ-ზამბახებით,
 გადამაფრინე ოცნების მხარეს;
 იქ, მშვენიერო, მომიალენსე,
 შეკრდს მოესვენე ტფრფობით მგზნებადეს.
 ხმა შეწეობილად მომართე ჩანგი,

ნელად მიმდერე ციური ჭანგი;
 მწარე წარსულის მსურს დაფიქება,
 გრძნობათ სიმშვიდე სულს ენატრება!..

სვიმ. ციური ხმები! დრმად გულს სწვდება.
 ვიდაცა მღერის შეუვარებელი.

გამოსვლა მეშვიდე.

ელა და სვიმონ

(ელა შემოდის პირბადე ჩამოფარებული და შეუმჩნევლად სვიმონს უახლოვდება)

ელა. სვიმონ!

სვიმონ (შემკრთალი)

ვისი ხმა მესმის? ვინ დამიძახა?

როგორ, აქ ჩემთან ვიდაცა ქალი?

ელა. გთხოვ. მანათიო, მაგრამ აქ დარჩი,

ნუ ნუ გაშირბი, ზირს ნუ შარდიბ.

უნდა გადასწედეს ჩემი სიცოცხლე.

სვიმონ. ქალო, ვინა ხარ?

ელა. ვისაც უყვარხარ და ეყვარები!

დიდი ხანია თვალყურს გადავებუ,

დიდად ვნატობდი შენსა შეხვედრას,

რომ გამემყდარა გულში ნაღები,

მაგრამ ვერ ვბოფე დროი ნეტარი.

დაფიქრებული შენი თვალბო

სხივსა მათრქვევენ და სულს ალხენენ.

(მიუახლოვდება და ხელს მოჰკიდებს)

აწ დრო ვიხელაე და მსურს, ძვირთასო,

გარდაგიმლო საიდუმლონი.

მიუვარხარ, გესმის!

სვიმონ. რა? გიუვარვარ!..

ელა. ვით ნორჩი ვარდი გაზაფხულის

გარდაიშლას დილის სხივებსე

ესრედ ამ გულმა უცბად იფეთქა

და აფრთოვანდა შენთან ყოფნიოთა.

აი, ეს ხელი ჩემს ხელებსა სწვავს,

და ვერ კი ვბედავ გულს ჩავიკნო.

ხშირდა მსურდა მარტო შეგერადი

და გამემყდარა, რაც ეხლა გითხარ,

მაგრამ მაგდენი გამბედაობა

უბედურს გულს თან არ დაჭეოლია.

სვიმონ. ამბობ: გიუვარვარ...
ელა. შენე, რა დროდან. ზირველად გნახე
 ხის გვერდით იქ
 მონასტრის ახლოს მეგობართ შორის



ცალ ხელში ფარდს ათამაშებდი
და მუდრეში ხმალი გბჭირა.
და იმ დროიდან დრმად გულები ჩამრჩი
არ მშორდებოდი, შენზედ ვფიქრობდი.
შენ იქ დაგვარდა დაბლა უფავილი
ავიდე იგი და გულის მივიკარ.
დღესაც სახსოვრად მაქვს შენახული.
მაგრამ ის მაკრთობს და ის მაშინებს
რომ არ მიიღებს ჩემ წრფელ სიუფარულს
და რა გაიკებ ჩემს ვინაობას,
განრისხებული დამკობ უბედურს.
მაგრამ არ ვნადვლობ, დე, ასე მაჭხდეს.
ჰოი, სხარალო! ნუ თუ შენთვის
მუხთაღი ბედი სასტიკი იყო?
დმერთო დმერთო: ნუ თუ შენ ვჭპოვე
სიკვდილსა წინ ბედნიერება?
მისმინე ქალა. — მე უნდა მოვკვდე!
ამ მოკლე ხნითაც ბედნიერი ვარ...

ელა. შენ უნდა მოკვდე?
სვიმონ. გადაიყარე სასეს ზირ - ბადე
და ამ ბნელ დამეს, ვინც უნდა იყო.
გამომეცხადე მნათობ ვარსკვლავად.
ვეღარ ვიხილავ მზის ცხრფელ სხივებს,
მაგრამ არ ვკვდება მე უნუგეშოდ,
რომ არ შეეფროდი ჩემს ბედის ვარსკვლავს.
რომელიც ბნელით მოცულ დამეს
გულით მწუნარეს თვით მომეკვინა. —
ასე განკებას, სჩანს სურვებია!
ელა. სთქვი კიდევ რამე, რომ დავსტებე
მაკ ხმით.

ბუღბული მოლოდ დამითა ჰგალობს
და თუ შენ სდუმხარ, ნება მომეცე
რომ შენსა ბაკეს მე დავუკონა!
(პირბადეს აიხდის და რა იცნობს სვიმონი
ელა შემკრთალი ხელსა ჰქრავს და
მოიშორებს)

სვიმონ. ელა! ოჭ დმერთო! არ მომეკარო!
შენ ხომ მაჭინა სიუფარული ხარ!
ჩვენი მხავრეღის!

ელა. ნუ შემჩვენებ! ამ გულს უფარხარ!
და სიუფარულმა მტერი არ იცის.
მერე განა მე თქვენი მტერი ვარ?
არა, ძვირფასო! გთხოვ შემიბრალა!

სვიმონ. მუხთაღო ბედა,
გიწვევ მსაჯულად!
სამშობლო მიწვევს დღეს ბრძოლის ველზე
და ხელში მაწადის მებრძოლის მახვილს
და მამჩემს უნდა გულს ჩავცე.
დიახ, მამჩემს! ჩემს სისხლს და ხორცს!
გულმა ძლივს იგრძნო ტრფობის ნექტარი,
ობლომა ვზოვე ბედის ვარსკვლავი,
სიომ დამბურა სიუფარულისამ,
მაგრამ იქაცკი წინ შეღობება
ცოდვა, სირცხვიდი, დანაშაული!

ელა. აგრე ბროტად რისთვის მიცქერი?
რად ცდილობ დვარძლით ადავსო გული?
ეური დამიგდე, ინაცვალე
სიმდიდრე, გრძნობა და სიუფარული!
შენთვის ვეცდები გადავიფურჩქნო,
ადვილსო ტრფობით და კავისარო?
ცისა მნათობად გადავიქცევი.

რომ მკრთალი სხივი გადმომაყარო.
ბადში დაგატკობს ნელ სურნელობით
და გაგინათებ წუვდიად დამეს.
შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის მოვკვდები,
შენ განაცვალე გულის სიამეს!
აი, ხელთ გქონდეს ეს გასაღები,
ხვალ სადამთი გამომიარე.
ბადში ვიქმნები მოლოდ მე და შენ.. —
მამანდე გული შენი მგზნებარე.
და თუ არ მოხვალ, წამიუყა შენთან...
მზად ვარ გამოგვევ ოთხსავე მხარეს;
მაჭი კი მძავს, შეზიზღება...
ჩუმად ცრემლს ვაფრქვევ მასთან მღუღარეს.

სვიმონ და მას აბაზი...
ელა. (აწყვეტინებს) შეტად სასტიკი,
უღმობელია!

სვიმონ. მას გეზიზღება!

ელა. აკერ. იგიცა არის მოწამე,
მასთან — სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს!
წამიუყა სხვაგანთ, თუნდ გამოიტაცე...
ერთად ვიცნოვროთ..

სვიმონ. მე ხომ გიუფარვარ:

ელა (მიყვარხარ) ჩემო ძვირფასო!

სვიმონ. მას გამოგივლი ხვალ სადამთი.
ბადში იყავი და მომელოდე. — (თავისთვის)
იქ ავარულეებ ჩემს განზრახვას
და ვაღს მოვიხდის სამშობლოსს!

ელა. ოჭ დმერთო ჩემო, რა უტბად მოჭხდა!
ბედნიერი ვარ! ხვალ ჩემთან მოვა. (გარბის.)

ფ ა რ დ ა

ნუსკალ ხანი

ისტორიული მოთხრობა.


(გუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

XVI

თეორად შეღება განთიადმა აღმოსავლეთი,
სტყორცნა სინათლის ისარი ღამის წყვდიადს. გამო-
ელვიძათ და წამოიშალნენ თავიანთ უშიშარ ბუდე-
ებიდან „ფრინველნი მალლის მთისანი“. აქა-იქა ნის-
ლები, რომლებშიაც ჩახუტებულიყვნენ მთის მწვერ-
ვალოები, გაიფანტ-გამოიფანტნენ და დალივნენ
ცის სივრცეში. ერთი რამე ნისლის, ან რამე ღრუ-
ბელის ნამცეციც არსად სჩანდა. სინათლემ სძლია
სიბნელე და გამარჯვებულმა შეამწყვდია იგი უფს-
კრულში... ფერი იცვალა აღმოსავლეთმა: წითლად
შეიღება და, შემდეგ არ განვლო ბევრმა ხანმა, გა-
მოჩნდა კიდევ ქვეყნის დიადი მნათობი და სულის
ჩამდგმელი... მისი პირველი სხივი მოჭხდა მთების
მწვერვალოების თოვლიან-ყინულიან გვირგვინს და
შეთამაშა მის თვალ-მარგალიტებს...

ფარსმიდან გირვეს წელფერდოზე მიმავალ სა-
ცალფეხო ბილიკზე გამოჩნდა რამდენიმე მხედარი,
რომელნიც თქრიალით მიაჭენებდნენ ცხენებს. შო-
რიდანვე შეატყობდით, რომ ეს მხედრები დაღესტ-
ნის შეილები იყვნენ.

ნუსკალის ბანაკი ფეხზე წამოღდა და მოუთმენე-
ლად ელოდა მხედრებს. ბევრ ხანს არ აცდევინეს
მხედრებმა. მოყარეს ოფლში გაწურული ცხენები



ბანაკში ჩამოხტნენ და მყისვე მიაშურეს ხანის კარავისაკენ.

— რა ამბავია, საიდან მოდიხართ?!. ჰკითხა ნუცალმა მხედრებს და მის სახეს მღელვარება დაეტყო.

— ფარსმიდან მოვდივართ, დიდებულო ხანო, მღელვარის ხმით უპასუხეს მოსულებმა—უბედურება დაგვატყდა თავს... შეერთებული გურჯების და თუშების ჯარი დაგვეცა გურჯების და თუშების ჯარი?..

— რას ამბობთ... როდის და როგორ?!. მოუთმენლად გააწყვეტინა ზარდაცემულმა მურთაზმა.

— განთიადისას, მოახსენეს მხედრებმა,—როდესაც მომეტებულ ჩვენგანს ისევ ღრმად ეძინა, როგორც მთის ზვაფი მოულოდნელად თავს დაგვატყდნენ და მუსრი გაგვავლეს. ეხლა აქეთ მოდიან. ჩვენ მარჯვით გვყანდა ცხენები და მოვაშურეთ, რომ თქვენთვის შეგვეტყობინებინა.

ნუცალმა გასცა ბრძანება, რომ ჯარი მომზადებულიყო საომრად. მურთაზი შეუღდა თადარიგს.

არ გაიარა ბევრმა ხანმა, გამოჩნდა ფარსმის მხრიდან, გირევის პირდაპირ, თუშ-კახელების ლაშქარი. ავარიის მბრძანებელმაც დაახვედრა საომრად მომზადებული თავის დიდო-ლეკი. კარგა ხანს იდგა ორივე მხარე ერთ ალაგას ერთი ერთმანეთის პირდაპირ. გადაჰყურებდნენ ერთმანეთს, თითქო თვალთ ზომავდნენ ერთმანეთსაო...

აჰა ლეკების მხრიდან გამოსხლტა მურთაზი, შეათამაშა ჰაერში ხმალი და გადასძახა თუშ-კახელებს.

— აბა, გურჯებო, ვის უფრო მოგწონს თავი?!. ვინა გყავთ მომეტე?!.
— მე ვარ, წუნკალო, დაიძახა მქებარე ხმით ანდერაზ საგინაშვილმა და ჰკრა კიდევ დეზი ცხენს.

— მოითმინე, უთხრა საგინაშვილს ლეკების მომეტემ,—ერთ წინადადებას მოგცემ, თუ თანახმა გახდები.

— ყოველიფერზე მზადა ვარ, უპასუხა ანდერაზმა,—ბძანე.

— მზადა ხარ, რომ აი იმ წყალში ჩავეყაროთ ცხენები და იქ შევებნეთ ერთმანეთს? უთხრა მურთაზმა. რა მიათითა პირიქით თუშეთის ალაზანზე, რომელიც იმ ალაგას ისე ხტის და ღრიალებს თავის ვიწრო კალაპოტში, თითქო დაჭრილი მხეციაო.*)

— გახლდეს შენი ნება: მიუგო საგინაშვილმა. ამ სიტყვებით საგინაშვილი დაბრუნდა თავის ჯარში. ერთ ახნაურშვილს გამოართვა აბრეშუმის მოსართავი,*)) გამოუცვალა თავის ცხენს, რომელსაც თასმის ეკრა და გააქანა ცხენი ალაზანისაკენ. ორივე მომეტემ ჩააგდო ცხენი ალაზანში. გაშმაგებული წყალი ცხენებს გვერდებამდის სწვდებოდა და ძალოვანად სცემდა გაშმაგებულ ტალღებს. ორივე მოპირდაპირე ლაშქარი სულ განაბული თვალყურს ადევნებდა მომეტეებს. მიუახლოვდნენ ერთმანეთს თუ არა, ორივემ იძრო ხმალი. კარგა ხანს კეჭეს ერთმანეთი, მაგრამ ვერაფერ ვერ მოახერხა, რომ სასიკვდილოდ მოექნია ხმალი. წყალი თანდათან აახლოვებდა მეტოქეებს და ბოლოს ახალა კიდევ ერთ-

*) თუშების გადმოცემით.

თმანეთს მათი ცხენები. აქ ხმალი გაუქმდა. მტრებმა ხელი სტაცეს ერთმანეთს. ხან ერთი მიიღვდა და ხან მეორე. ბოლოს მოიზიდა საგინაშვილმა რიცხვითი და ღონე ჰქონდა მეტოქე და ლეკების მომეტე—მურთაზი უნაგირითურთ გვერდზე მოექცა ცხენს.

რასაკვირველია, რომ თასმის მოსართავი, რაც უფრო ლბება, იმდენად უფრო ბოშდება და ამისათვის ბევრ ხანს ვერ გაუმაგრდებოდა მურთაზს უნაგირს. საგინაშვილმა-კი იხერხა, აბრეშუმის მოსართავი შემოუკრა თავის ცხენს და აბრეშუმში ხომ რაც მეტია წყალში. უფრო მაგრდება.

მურთაზმა ნუცალ-ხანის მხედართ მთავარმა, დალესტანის მომეტემ პირიქით თუშეთის ალაზანში ჰპოვა ცივი სამარე.

— დაჰკარით მაგ წუნკალებს, გამარჯვება ჩვენია!.. შეჰყვირა თავის ჯარს გამარჯვებულმა საგინაშვილმა, რა გამოახტუნა ცხენი წყლის ნაპირას. როგორც გაზაფხულზე ერთ მთის კალთაზე მოსხლტეს თოვლი და დაზვაგებული ქექით და ზარით ეცეს ღრე-ხეებს, გლეჯდეს, მიწასთან ასწორებდეს რაც გზაში დაბრკოლება რამე შეჰხვდება, როგორც აღორებული წყალი ლეკავდეს არე-მარეს—ისე თუშ-კახელები დაატყდნენ განთქმულ მხედართ-მთავრის სიკვდილით თავს ზარდაცემულ ლეკებს. ასტყდა საშინელი ხელიჩართული სასიკვდილო ბრძოლა: სიკვდილმა გაშალა მძლავრი ფრთები და გაბატონდა ბრძოლის ველზე. მებრძოლთ კიყინა, წყევლა-მუქარა, დაჭრილთ კვნესა და გმინვა უერთდებოდა ხმლის წყებას.

ორივე მხარე იბრძოდა გაშმაგებით. თავგანწირულად. ნამეტნავად თუშები, რომელთა შურის ძიების ფილა ბევრი ხანი იყო, რაც პირს გადმოდიოდა. მათ აგონდებოდათ თავიანთი დახოცილი თანამომეტეები. მიწასთან გასწორებული ციხე-კოშკები და სოფლები, მათ თავს დაჰყურებდა მათი თანამომეტეების გვამებით მოკენჭილი და სისხლით მორწყული სამშობლო მთები—რომელი მათგანი წაიწვედა უკან, არ შეაკლავდა თავს თუ-კი საქმე ამას მოითხოვდა...

სიმრავლით სჭარბობდნენ ლეკები. სიმრავლით გათამამებული უფრო და უფრო თამამად აწვებოდნენ თუშ-კახელებს. ერთ მხრივ ანდერაზ საგინაშვილი იბრძოდა, როგორც ლომი და სადაც უფრო გასაჭირისი იყო, იქითკენ ეცემოდა და სულს უდგამდა თავის მხედრობას. მეორე მხარეს შეფიცულთ გუნდი შექრილიყო ლეკების შუა გულში და თუმცა მტრის გაშმაგებული ტალღა ტალღაზე ეცემოდა, მაინც წინ და წინ იწეოდა. ამ გუნდს მისდევდა სისხლის ბილიკი, მოკენჭილი მტრის გვამებით. მისი მიზანი იყო მიეხწია ნუცალის კარავამდის.

ამ შეფიცულ გუნდს გადაეღობა წინ აბდულა თავის ანდაქოელებით.

— ჰაი, ლორო, სწორედ შენ მენატრებოდი და აკი შემხვდი კიდევ! წამოიძახა ბაჩომ, მოჰკრა თვალი აბდულას თუ არა,—აბა ეხლა წავგართვი იარაღი, თუ ბიჭი ხარ.

*) თუშების გადმოცემით.

პასუხის ნაცვლად ანდაქოელმა მიაგლო ცხენი და მოუქნია კიდევ ხმალი. ჰკრა ბაჩომ ხმალი ხმალს და მარალივით გადაუმტვრია. აბღულა გამოესალმა სამზეოს.

— ეგრე, ძმაო, დაჰკა!.. წამოიძახა აღფროვანებით ომალოელმა, რომელიც ძმურად უჭერდა მხარს ბაჩოს და თვითონაც ერთი მტერი გამოასალმა იმ დროს სამზეოს.

რა დაინახეს თავიანთი წინამძღოლის სიკვდილი, ანდაქოელები შეკრთნენ და უკან დაიწყეს ხევა. შეფიცულებიც მისდევდნენ კვალ-და კვალ და ძვირად თუ თავხედი ვინმე მტერი გაბედავდა მათ წინააღმდეგობას და თუ გაბედავდა ბევრს ველარ იხარებდა. აჰა, მიახწიეს ნუცალის კარავამდის, მაგრამ ამ დროს კარავი წაიქცა. და ეს იყო ანდერაზ საგინაშვილი, რომელმაც „ნუცალს ჩაუჭრა კარავი ნაკუდაურთის ხმლითაო“...*)

დასცეს სიხარულის კიჟინა თუშ-კახელებმა, რა დაინახეს კარავის წაქცევა. ნუცალის კარავთან ასტყდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა და სისხლის ღვრა. სიცოცხლე ებრძოდა სიკვდილს ნამეტნავად იქ, სადაც იბრძოდნენ შეფიცულნი.

ბევრი არ გადურჩა სიკვდილს ამ შეფიცულთაგანი და ვინც გადარჩა, ისიც სისხლისაგან იღეოდა. გაცხარებული ბრძოლის დროს ბაჩო უცბად შესდგა და ერთ ალაგს მიაჩერდა, ამართული ხმალი ძირს დაეშო.

— რას შერები, ბაჩო, რად შესდგე?!. დაუყვირა ომალოელმა თანამომძებს.

— ანთა, მოუკლავთ ამ ძაღლებს... ამოიკვნესა ბაჩომ და მიათითა დევდრის ანთას გვამზე, რომელიც მხალივით დაკუწული იწვა ხანის კარავის გვერდით.

ამ დროს ერთმა ლეკმა დაჰკრა ბაჩოს გვერდიდან ხანჯალი და განგმირული ბაჩო დაეცა ანთას გვამზე, მაგრამ არც ბაჩოს მკვლელობა იცოცხლა— იქვე ომალოელმა მოუღო ბოლო. ამ ლეკით დაასრულა ომალოელმა ხელის ქნევა. ამანაც აქ დალია გმირული სული და შეფიცულ ამხანაგებთან ერთად პირნათლად წარუდგა სულეთს წინაპრებს წინაშე.

ამ დროს ჰელოს მხრიდან გამოჩნდნენ ფშავ-ხევსურები. დაინახეს ფშავ-ხევსურებმა ბრძოლის ველი და მისი ქარ-ცეცხლი. დაინახეს, თუ როგორ აწვებოდა სიმრავლით გათამამებული მტერი მათ თანამომძებს. გაიღვა მბრწყინავ მზის სხივებზე მათმა ფარ-ხმალმა და მეხად და მედგრად დაატყდნენ თავს ლეკებს. თავს ზარი დაეცათ ლეკებს, დაღესტნის შვილებმა ველარ გაუძლეს კახ-თუშ ფშავ-ხევსურთ შვერთებულ ძალოს.

გათავდა ბრძოლა. დამარცხებული ლეკები გაიქცნენ. გაძლა კაცი სისხლით და მით დააკმაყოფილა თავის გაუმძღარი გული. მთელი გარევის ვაკე მოიკენტა მკვდრების გვამებით. მწვანე წითლად შეიღება, გროვა გროვა იდგა მკვდრებისა. ერთიერთმანეთს მოშორებული თავი, ფეხი, ხელი ეყარა აქა-იქ ბრძოლის ველზე. დაჭრილთ კვნესა, გმინვა, ხვეწნა და მუდარება: მიშველეთ... წყალი... მაგრამ არავის ესმოდა. მხოლოდ ესმოდა სიკვდილს, სიკვდილი იყო მათი პატრონი, ის ევლებოდა მათ თავს, ის იხუტებდა მკერდში...

ყურადღებას უფრო ის ალაგი იქცევდა, სადაც იბრძოდნენ შეფიცულნი და სადაც ბაჩომ დაგიორგიმ დალიეს გმირული სული, შეფიცულთაგან

ნი არც ერთი არ გადარჩა სიკვდილს. ყველამ შესწირა თავი მამულს და მით დასრულა ფიცი.

რა იქნა ავარიის მბრძანებელი? რა მოუვიდა ნუცალ ხანს?

აი რას მოგვით, რობს თუშური სიმღერა: „...“

ცოლი ნუცალის სტიროდა, ნეტავი ნუცალ რა იქნა? ნუცალი ახდენა მკვლას იარაღებს ჩაჭკობდა ბრჭყაღით!...»

თუ რა თავს ზარი დასცეს დაღესტნელებს თუშ-კახ-ფშავ-ხევსურებმა სიმღერა განაგრძობს:

«დეკთა სტირიან ქალები: ჯარ მკვიფლენ ქმარები. ცხენებთ რა უფთ ტიაღთა, დაწვეიტეს ლაგამთ ტარები. ზოგთა სთქვეს პაშტებს შეყაროთ, მკვრა დაგულოთ კარები;

ზოგთა სთქვეს უგუდმ შეკვანმთ ზედ თავად შეკსხდეთ ქალები,

კადვიდეთ თუშეთისკენ, იქვე შევირთეთ ქმარები!...»

ივ. ბუქურაული.

ინ გ ი ლ ო თ ა ყ ო ტ ა-ქ ხ ო ე რ ე ბ ა.

((ეთნოგრაფიული წერილი)
(დასარული)

ნიშნობა და ქორწილი.

ხალხში ჟივილ-ხივილი და დაუსრულებელი სიცილია, ხეზედ მიბმული ჭირვეულობს, მაგრამ მეტი რა ჩარა აქვს, ჰგზავნის ვისმეს სახლში ხარკის მოსატანად. აი მოიტანეს კიდევაც ხარკი, გამოტანებულები ჰყვირიან, „ააშენოს“ და ანთავისუფლებენ დაბმულს. მოტანილს ინდოულს ან ქათამს იქვე სწყვეტავენ კისერს და აძლევენ მოსახარშად. გამოტანებულები ახლა სხვა ნათესავებსა სტაცებენ ხელსა და ხალხში ხელახლივ ასტყდება ჟივილ-ხივილი და დაუსრულებელი სიცილ-ხითხითი. ასე ჩამოირიგებენ ყველა ნათესავებს გამოტანებულები და ხშირად ბლომა საჩუქრებსაც შეაგროვენ, რომელთა ნაწილსაც იქვე სჭამენ, ნაწილს კი შემდეგ იყოფენ და სახლებში მიაქვთ.

გათავებენ გამოტანებულები ხარკის მოკრეფას და ახლა მეფის მოვალეობაა გაუმასპინძლდეს მათ და დანარჩენ სტუმრებს ახლად მოხდილის, განსაკუთრებით ამ დღისათვის შენახულ, საუკეთესო ღვინით. მეფე სდგება სუფრიდან და გაემართება ქვევრის მოსახდელად, თან მისდევენ გამოტანებულები და მეზურნეები. ქვევრს, რომ მიუახლოვდებიან, მეფეს მიაწოდებენ ბარს, მაგრამ დაჰკრავს თუ არა ერთ ბარის პირს, მაშინვე სხვები გამოართმევენ და მოჰხდიან მიწას. მეზურნე გაფაციცებით აღდევნებს თვალყურს ქვევრის მოხდას და გამოჩნდება თუ არა სარქველი, მაშინვე ზედ შეხტება და ვიდრე მეფის მშობლები ან ნათესავები ერთ აბაზს მაინც არის არ აჩუქებენ, ფეხს არ მოაძლის. ღვინოს გრძელის ორშიმებით ხელდახელ ამოიღებენ და ყველას ეხლა ამ ღვინით უმასპინძლებიან.

მხიარულება, ჭამა-სმა, შიპრობა საღამომდის გრძელდება და ვიდრე არ ჩამოხნელდება, ალხი არ დაიშლება. გამოტანებულები იყოფენ, თუ რამე გადარჩათ საჩუქრებიდან, მაქანკალს მეფიანთ ერთ მანეთს აძლევენ, მდადეს ორ მანეთს და ხურჯინს ხორაგეულობით სავსეს. მდადე შეჯდება ცხენზედ, მის კვალს მისდევენ დანარჩენნიც და როცა ყველანი გავლენ ჭისკრიდან, თოფს დასცილიან, იმის ნიშნად, რომ ქორწილი გათავდაო.

ზ. ელილი.